1975/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯეჯილი

9
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აბა, ჩქარა, მალხაზებო!..

ოთარ ქუვრავა

მხატვარი
ზ. მეძმარიაშვილი

ასე არის, ასე იყო
ათი წლის თუ ოცის უკან,
ისევ რეკავს სკოლის ზარი,
სალამური ისევ უკრავს.

ისევ ღელავს ბავშვის გული,
თვალწინ სკოლა ესახება,
ისევ მღერის სექტემბერი,
ისმის მკვირცხლი შეძახება:

— აბა, ჩქარა, მალხაზებო,
ჩქარა, თორემ დაგვიანდა.
შეხეთ, მთაზე განთიადი
დროშასავით აფრიალდა!...

ვის რა მოგაქვთ, რა წონა აქვს
განვლილ დღეთა კრიალოსანს?
რა ნობათი მოუტანეთ
ამ სექტემბრის იალონსა?

ვის რა მოგაქვთ, რა ამბავი?
მშრომელ კაცს თუ ედექ გვერდით?
ვაზს ჭიგო თუ გაუსწორე?
თუ ახარე სადმე ნერგი?...

ყოჩაღ! აგრეც მოველოდი!
გიქებთ მართალ თვალთა ციმციმს.
აგრე იცის კარგმა გოგომ,
კარგმა ბიჭმა აგრე იცის.

ცად ფრთოსანთა ჟივჟივია,
თქვენ სიმღერით ფრთოსნებს სჯაბნით...
კარგი პური მოიწევა
დიდი შრომით, დიდი ჯაფით!

...შენ რა გაგკბობს, ჩემო ოთარ?
გაგახარეს ბულბულებმა?
შენ რომ სკოლის ზარს უსმენდი,
ომის ზარი გუგუნებდა.

დღეს მშვიდობის ზეიმია,
ნათელს ჩრდილი აღარ გასდევს,
მშვიდობის მზე გზას უნათებს
სკოლისაკენ ახალგაზრდებს...

— აბა, ჩქარა, მალხაზებო,
ჩქარა თორემ დაგვიანდა,
შეხეთ, მთაზე განთიადი
დროშასავით აფრიალდა!...





12734

Ამ ბოლო წლებში ბევრი სიახლე დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა გამოცოცხლება, საქმისადმი გულიანი დამოკიდებულება, ყველგან გაჩაღდა შრომა...

Უფროსებს არც პატარები ჩამორჩნენ. მოსწავლე ახალგაზრდობამ მხარი აუბა მათ.

Ასე დაიბადა ახალი, მეხუთე მეოთხედი, შრომითი მეოთხედი... ქვეყნის ველ-მინდვრებში, სადაც კი გაიხედავ, უფროსთა გვერდით მოსწავლეებიც შესევიან ყანებსა თუ ველ-მინდვრებს, ჩაის პლანტაციებსა თუ ვენახებს. დიახ, ახლა ივნისის თვე როდია სასწავლო წლის დასასრული... როგორც უკვე ითქვა, იგი გადიდდა ერთი შრომითი სემესტრით... ყველაზე ხალისიანი, საჭირო და ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო მეოთხედით... კარგად უწყიან ბავშვებმა უფროსთა ნათქვამი — შრომა და ცოდნა განუყრელია.

Ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ თიანელი ბავშვების საქმიანობის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია...

# შრომა და ცოდნა განუყრელია

მირონ ხერგიანი

ფოტო ვ. ბორისენკოსი

Თიანეთის 8-წლიან სკოლას ამ მხრივ კარგი ტრადიცია აქვს.

VII-VIII კლასის მოსწავლეები ყოველ არდადეგებზე ქმნიან ბრიგადებს, იპიროვნებენ სხვადასხვა ნათეს კულტურას, იღებენ გარკვეულ ვალდებულებებს და ყოველთვის სასურველ შედეგსაც აღწევენ.

Ასეა წლეულსაც. შევქმენით ბრიგადა 30 მოსწავლის შემადგენლობით, (ბრიგადის საქმიანობას ხელმძღვანელობს გერმანულის მასწავლებელი ფ. შუშანაშვილი), ბრიგადა VIII კლასელებით დაკომპლექტდა. რამდენიმე VII კლასელიც შემოვიერთეთ და თხოვნით მივმართეთ თიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას, რომ ჩვენთვის დასამუშავებლად მოეცა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურა, მოგვცეს ლობიოს კულტურა. გეგმით 1 ჰა-ზე უნდა მივიღოთ 10 ცენტნერი; ჩვენ კი ვივალდებულეთ, რომ მივიღებთ 12 ცენტნერ მოსავალს.

Აგროვადებში დავამთავრეთ I და II თოხნა. ჯერ-ჯერობით ჩვენი ნაკვეთი კარგად გამოიყურება. ახლა ცოტა სიცხეები დაიჭირა. ეს გვაშინებს ყველას, რადგან ლობიოს ნათესები ფერდობზეა, მორწყვა არსაიდან არ ხერხდება და თუ ამინდმა არ გვიღალატა, მაშინ ხომ არც ჩვენ შევირცხვენთ თავს და აღებულ ვალდებულებასაც გავანაღდებთ — ასე ფიქრობენ ჩვენი ბრიგადის წევრები — პაატა ბაინდურაშვილი, მარინე ფილაური, ბადრი ადუაშვილი, იზა და თამი-

## ჩვენი მეხუთე მეოთხედი

Თითოეული მოსწავლე მოუთმენლად, სიხარულით ელოდება სასწავლო წლის დამთავრებას, ზაფხულის ხალისიან არდადეგებს. პიონერთა ბანაკები, საინტერესო ლაშქრობები, მცხუნვარე მზე და მაცოცხლებელი წყალი, თუ ყოველივე ამას დავუმატებთ ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა შრომითი ბრიგადების მიერ შექმნილ უდიდეს ღირებულებებს, მაშინ გასაგებია ის სიხარული, რომელიც ზაფხულს ჩვენთვის მოაქვს.

პიონერი
9
სექტემბერი
1975
საქართველოს ალკკ-ც კ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



კ. მარქსის ს. ხ. საქ. სსრ



ზარიძეებელმა მოსწავლეებმა გულიანად წაიმუშავეს მინდორში. საქმეს მორჩნენ და ახლა ჟურნალ-გაზეთებს ჩაუსხდნენ.

ლა ჯიმშიტაშვილები, მალხაზ აფციაური და სხვები.

ნელი ჯაგანიშვილი,
თიანეთის 8-წლიანი სკოლის მოსწავლე, საწარმოო ბრიგადის წევრი.

## ჩვენი დევიზი — მუდამ მოწინავენი სწავლასა და შრომაში

შარშან ზარიძეების 8-წლიან სკოლაში შეიქმნა შრომითი ბრიგადა, რომელმაც ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიპიროვნა 5 ჰა კარტოფილის კულტურა, დაამუშავა მაღალხარისხოვნად და მიიღო დიდი მოსავალი.

წლეულს ბრიგადაში არის VII-VIII კლასების 51 მოსწავლე, რომლებსაც აღებული აქვთ 8 ჰა კარტოფილის ნათესი.

ბრიგადა დაყოფილია ორ რგოლად, I რგოლს, სადაც გაერთიანებული არიან VII კლასელები, ხელმძღვანელობს ეთერ ბოდაველი, ხოლო II რგოლს, სადაც VIII კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებული, მზია ჯანგირაშვილი უდგას სათავეში.

I რგოლში დროულად გათოხნეს და მუყაითად იმუშავეს მაია ღვინიაშვილმა, ნათელა იარაჯულმა, დარეჯან ჟივიძემ, ნაირა იარაჯულმა, გალინა ქუცნიაშვილმა, გიორგი სულხანიშვილმა და მზალო გონჯილაშვილმა.

მათ ნაკვეთებზე კარტოფილი თანაბარია, ნიადაგი კარგად არის გაფხვიერებული...

მეორე რგოლიდან კარგად მუშაობენ ავთანდილ წყარუაშვილი, ოთარ და ნუგზარ იარაჯულები, ნუგზარ აბრამიშვილი, ეთერ ლიქოკელი, იზოლდა წყარუაშვილი და სხვები, მათ დროულად დაამთავრეს პირველი თოხნა და ახლა კარტოფილს აყრიან მიწას.

ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებენ და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან სკოლაში და საკოლმეურნეო მინდვრებშიც VI კლასის მოსწავლეები: გულო უშიკიშვილი, მარინე მაისურაძე, ნიკო წყარუაშვილი, ზაურ გონჯილაშვილი, ნათელა ლიქოკელი, ლამარა ფოლადიშვილი და მზია იარაჯული.

სკოლაში გამოდის საველე გაზეთი „დიდება შრომას“, სადაც შუქდება იმ მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ შრომაში, და აგრეთვე მომავლის საკითხები ბუნების გამწვანებაზე, ხელოვნური ტყეების გაშენებაზე და სხვა.

სკოლაში შექმნილია სასკოლო-სატყეო განყოფილება, რომელიც ატარებს ტყის გაშენება-მოვლის სამუშაოებს, სატყეოს განყოფილების საბჭოს თავმჯდომარეა გიორგი ბოღრაშვილი, მოადგილე — ვაჟა იარაჯული, მდივანი — მაია ღვინიაშვილი.

სასკოლო-სატყეოს გაპიროვნებული აქვს 136 ჰა ტყე, 2 ჰა პანტის კულტურა, 2 სანერგე, პლანტაცია, სახელმწიფო ტყის ზოლი, ეროზირებული ფართობი, მინდორსაცავი ზოლები. სასკოლო საბჭოს მუშაობას საერთო კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევს ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი სუარაშვილი.

სასკოლო-სატყეო სამუშაოებზე თავი ისახელეს მოსწავლეებმა: მზია სუარაშვილმა, დარეჯან ჟივიძემ, გალინა ქუცნაშვილმა და სხვებმა.

ნათელა ხარანაული,
ზარიძეების 8-წლიანი სკოლის საწარმოო ბრიგადის წევრი.



თიანეთის საშუალო სკოლის საწარმოო ბრიგადის წევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ ნარგავებს ვპატრონობთ

1974-1975 სასწავლო წლის ბოლოს, თიანეთის მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლაში შეიქმნა საწარმოო ბრიგადა, რომელშიც გავერთიანდით ძირითადად VII-VIII და IX კლასების მოსწავლეები, 60-მდე ბავშვი.

ჩვენი სკოლის ხელმძღვანელობამ სატყეო მეურნეობის დირექციას დაუდო ხელშეკრულება, რომელშიც ივალდებულა, მეურნეობას გაუთოხნოს 25 ჰა ფოთლოვანი თუ წიწვოვანი მცენარეების ნარგავები.

1975 წ. 20-25 ივნისიდან საწარმოო ბრიგადის წევრებისათვის მოეწყო შრომისა და დასვენების ბანაკი, ბანაკში მოსწავლეები უზრუნველყოფილი ვართ დღეში ორჯერადი კვებით — დილით საუზმითა და ნაშუადღევს — სადილით. ბანაკის წევრები 9 საათამდე საუზმობენ, შემდეგ მანქანით მიემგზავრებიან სამუშაოდ, საიდანაც ბრუნდებიან 14-15 საათზე და სადილობენ. სადილის შემდეგ მასწავლებელი ნ. მენთესაშვილი მათთან ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. საღამოს 6 საათიდან ბავშვები შინ მიდიან.

შრომა-დასვენების ბანაკში აქტიურობენ მოსწავლეები: თამარ ყურშავიშვილი, ნანული ოშაყმაშვილი, ლია და ნინო ნაკვეთაურები, ოთარ ზვიადაური, რუსუდან ზითანიშვილი, ნოდარ ტურაშვილი, მალხაზ ხატიაშვილი და სხვები.

შრომისა და დასვენების ბანაკი ჩვენთან პირველად ჩამოყალიბდა. ამიტომ ცხადია, მის მუშაობას ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ მომავალში კიდევ უკეთ მოვაწყობთ შრომისა და დასვენების ბანაკს, სადაც უფრო ხალისიანად ჩაებმება ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლე.

**დიანა გორელაშვილი,**
*თიანეთის მ. გელოვანის სახ. საშუალო სკოლის საწარმოო ბრიგადის წევრი.*



სათუთად დასტრიალებენ თავს ფიჭვის ნარგავებს.



მინდორში შრომის შემდეგ გემრიელ სადილს რა შეედრება.

## ბიბინებს სიმინდი ჩვენს ყანაში...

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისა და პროფესიული ორიენტაციისათვის სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად გვეხმარება ჩვენი სასკოლო შრომითი საქმიანობა.

სახალხო მეურნეობაში ჩვენი მონაწილეობის ეს ფორმა მეტად დიდ მოვალეობასა და სიხარულს გვანიჭებს. შრომა— ღირსების საქმეა, ყოველივე ეს კარგად იციან ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა და ამიტომ იყო, რომ წლეულს რამდენიმე თვით ადრე დავიწყეთ საწარმოო ბრიგადებისა და რაზმების დაკომპლექტება, მისი ორგანიზაცია.

წინა წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ჩვენ, მოსწავლეებს უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია. ამიტომაც გასულ წლებთან შედარებით უფრო მაღალი ვალდებულება ვიკისრეთ. ჩვენი საწარმოო ბრიგადა 72 კაცისაგან შედგება. ეს ხომ მთელი კოლექტივია.

პირველი შრომითი წრთობა ჩვენმა ბრიგადამ სიმინდის თოხნისას მიიღო. გაპიროვნებული გვაქვს 8 ჰექტარი სიმინდის კულტურის მოვლა-პატრონობა. პირველი თოხნა რომ დავამთავრეთ, კოლმეურნეებს ჯერ დაწყებული არ ჰქონდათ. ჩვენი ბრიგადის სიმინდი მთელ ყანებში გამოირჩევა.

გვახარებს და გვეამაყება, როცა ჩვენი მისამართით ამბობენ ხოლმე, ეს კარგი მოსავალი მოსწავლეთა ნაშრომიაო.

არც მეორე თოხნა დაგვგვიანებია. სულ მალე ვუპატაკებთ ტუშურების კოლმეურნეთა მესვეურთ, რომ ვალდებულება განაღდებულია, და მოვითხოვთ ახალ საქმეს.

**ლ. მეჭიაური,**
*ტუშურების საშუალო სკოლის საწარმოო რაზმის ხელმძღვანელი.*

# დაკარგული ასტეროიდი

ფანტასტიკური მოთხრობა


**ელგუჯა მერაბიშვილი**

**მხატვარი შადიმან ჭავჭავაძე.**


ბიჭი მართლაცდა მეტისმეტად საეჭვოდ გამოიყურებოდა, უჩვეულოდ იყო აღგზნებული. ქალმა მეგობრებისაკენ გაიხედა, უნდოდა დაენახა, რა იხატებოდა მათ სახეებზე, მაგრამ მამაკაცები უკვე აღარ უყურებდნენ ეკრანს, ახლა მათ იუპიტერი უფრო აფიქრებდათ

სეანსი შეწყდა.

ფაინა ერთხანს უაზროდ შეჰყურებდა მამაკაცების მოღუშულ სახეებს. ისინი ხომალდის გაყვანას აპირებდნენ იუპიტერის ირგვლივ ორბიტაზე და მისთვის არ ეცალათ.

— ჩართეთ სამარშო ძრავა, — მოისმა მირას მშვიდი ხმა.

ყურსასმენებში უკვე მძლავრად ისმოდა იუპიტერის ღელვა და ტალღებად მომსკდარი რადიოსიგნალებისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ფაინას შიშმა დარია ხელი, ბიჭის დაკარგვის შიშმა...

— გთხოვთ, ნუ ჩართავთ სამარშო ძრავას. ბავშვი ცუდად გრძნობს თავს. უკან გავბრუნდეთ.

— გაგიჟდი? — მირამ ავად შემოხედა, მაგრამ ქალიშვილის შეშფოთებულ სახეს რომ წააწყდა, რბილად დაუმატა: — შეუძლებელსა მთხოვ.

— არის ჩავრთოთ სამარშო ძრავა! — იმავე წუთს მოისმა დემიანის ხმა.

დროის მრიცხველები ატკაცუნდნენ, ხომალდმა დამუხრუჭება იწყო, სამარშო ძრავამ სულ რამდენსამე წამს იმუშავა და „ასტრა“ იუპიტერის ირგვლივ ორბიტაზე გავიდა.

მირამ ბრუნვითი მოძრაობა მისცა ასტრას, რომ ატმოსფეროსთან ხახუნით თანაბრად გამთბარიყო მისი კედლები. ეს რამდენადმე მაინც შეარბილებდა ზედაბალი ტემპერატურის გავლენას ხომალდის ჰაერზე.

ახლა ფაინას დასვენების რიგი დადგა, მაგრამ აბა რა დააძინებდა. მილიონ კილომეტრთა იქით მყოფი გუზანის ნორჩი გული აჩქარებით ძგერდა...

●

ასტეროიდ 9027-ის ორბიტა დეტალურად იყო შესწავლილი და ამიტომ ექიმს ეჭვი არ ეპარებოდა, გარეგან ფაქტორებს არ ედო ბრალი ბავშვის ფსიქიკის ასე დამუხტვაში.

ხომალდი ნელა ტრიალებდა და წინ მიიწევდა. ფაინას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს „ასტრა“ კიჩოთი ბურღავდა უცნობი პლანეტის შფოთიან ატმოსფეროს. ყველა ილუმინატორში ზოლიანი მნათობი მოჩანდა. ახლა უკვე მკაფიოდ ემჩნეოდა იუპიტერს პოლუსებიდან სიმეტრიულად დაშორებული ფერადი სარტყელები... პლანეტა სწრაფად ბრუნავდა. ახლოდან უფრო ამაზრზენი სანახავი იყო უზომოდ შავი ჩრდილების თარეში მის ზედაპირზე.

— რაო, გაბრაზდი, ტყირპიანო ყაჩაღო? გეწყინა, ასე ჯიქურ რომ შემოვიჭერით შენს საუფლოში? — ნიშნის მოგებით გასძახოდა მირა იუპიტერს.

— რაზე ატყობ? — გაეპასუხა დემიანი.

— ტყირპი წამოუწითლდა. აბა ცოტა დააცადე, შემობრუნდეს.

რამდენიმე დაძაბული წუთი და გოლიათი პლანეტის მოყვითალო დისკოზე მართლაც ტყირპივით გადაიდღალფა აგურისფერ-მეწამული ვეება ლაქა.

— საოცარია, რა მექანიზმი უნდა იყოს ისეთი, რომ რვაასი მილიონი კვადრატული კილომეტრი სივრცე ერთ



წამში ჯიგრისფრად შეღებოს? — ამბობდა თვალებდაქცეული დემიანი.

გადაღებები მთელი დატვირთვით მიმდინარეობდა. დრო აღარ რჩებოდათ დასკვნებისათვის.

ფაინა ხომალდის მეთაურის წინ გაჩერდა.

— რატომ არა გძინავს, იუპიტერმა დაგაფრთხო?

— რა დროს იუპიტერია, ბავშვი იღუპება!

— დაგვაცადე ცოტა, ენერგია არ გვეყოფა სეანსისათვის, ხომალდის მთელი აპარატურა ჩართულია წრედში.

---


დასასრული იხ. „პიონერი“ № 8.

— დაცდა არაფრით არ შეიძლება. სანამ ხილვადობის არეში ვართ, უნდა მოვასწროთ სეანსი, სადაც არის შეწყდება სადგურთან რადიოკავშირი...

მირამ დროის მრიცხველებს შეხედა. მართლაც ცოტა დრო რჩებოდა. მაგნიტომეტრიულ ხელსაწყოთა ჩვენებას შეასწრო თვალი და გაოცდა.

— ხედავთ? იუპიტერის მაგნიტური ველის დაძაბულობამ ათას გაუსს გადააჭარბა. ჭეშმარიტად კოსმოსელი გოლიათია.

— და მაგ გოლიათზე ადამიანები ბინადრობენ, გესმით? — ცივად შეაგება ფაინამ.

— როგორ? — წარბი შეიჭმუხნა მირამ.

— გუზანი ამბობს... გასაღებით გადმომცესო ღია ტექსტი.

— საბრალო ბიჭი! განა შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? მშვენივრად გრძნობდა თავს და უცებ ასეთი ჰალუცინაცია... დასცადა, იუპიტერმა დასცადა ბიჭი... ვერ მოვუარეთ. დემ, სწრაფად მოგვეცი „კამა“.

ეკრანი ციმციმებს, ხაზებად, წრეებად იშლება და გაშლილ სივრცეში მიმქროლავი მოჩანს ვეება უსწორო კლდე, ეს ასტეროიდია. შემდეგ მსხვილი პლანით — მოკვერცხილი ფორმის, მზის სხივებით მბზინავი სადგური...

ნაკვეთურები, მიუხედავად გვიანი საათისა, კვლავ ცარიელია. გუზანი ისევ ძირითადი ბლოკიდან გამოდის, ხელში ქაღალდის ფურცელი უჭირავს და თვალანთებული მიშტერებია საყვარელ ადამიანებს, ხელის მაღლა აწევით ესალმება და ძალდატანებით უღიმის, ეტყობა, სულ სხვა ხილვებშია ჩაფლული.

ღია ტექსტი... მგონი იუპიტერის თანამგზავრიდან... გინდათ მოგასმენინოთ? — ბიჭმა ფურცელი მოამზადა წასაკითხად...

ასტრონავტებმა ერთმანეთს შეხედეს.

— გისმენთ, დაიწყე, — შესცინა ბიჭს გულდაწყვეტილმა ფაინამ.

გუზანი ახლოს მოდგა ეკრანთან, ისე ახლოს, რომ მისი დიდრონი თვალების ყოველი წამწამი შეიმჩნეოდა. ფაინა უყურებდა და არ სჯეროდა. ნუთუ ერთხელ მკვდრეთით აღმდგარი, ექიმების მიერ სასიკვდილო სარეცელიდან წამოყენებული ეს ლამაზი ბიჭი ისევ ხელიდან ეცლებათ?...

ბიჭი ვერავის ამჩნევდა და არც არავინ ეკითხებოდა, ალბათ, იმ დაჭმუჭნილი ქაღალდის გარდა, აკანკალებულ ხელში რომ ეჭირა. ასტრონავტები უსმენდნენ, მაგრამ ყურებს არ უჯერებდნენ...

„მე ანდრომაქე ვარ... მე ანდრომაქე ვარ... მშვენიერი ანდრომაქე... ტროადან, მაგრამ ჰექტორის მეუღლე კი არა, მე სხვა ვარ, უფრო ნორჩი... სხვა ანდრომაქე... და სულაც არა ვარ ტროადან. სხვებმა შემარქვეს ასე... მე ალაბამიდან ვარ, ცაში აფრენილი და პლანეტოიდად ქცეული, პლანეტოიდად ქცეული და ძალიან შეცივნული... მე ანდრომაქე ვარ... მშვენიერი ანდრომაქე... იუპიტერის სატრფო... მისი თანამგზავრი... საშინელია იუპიტერი... ძალიან საშინელი და ცივი... უჰ, როგორ მცივა... ჩემი მუსტანგი...“

სეანსი შეწყდა. ასტრონავტები უძრავად იდგნენ და კვლავ გაოცებულნი მიშტერებოდნენ ჩამქრალ ეკრანს, საიდანაც ის-ის იყო უცნაური სიტყვები ისმოდა.



— რატომ არ გძინავს, ჩემო კარგო? — შეეკითხა ფაინა ალერსიანი ხმით.

— რადიოგრამის ტექსტს ვიწერდი.

— რომელი რადიოგრამისა? — გაკვირვება ვერ დამალა ექიმმა ქალმა.

ასტრონავტები ცდილობდნენ არ შეემჩნევინებინათ ბიჭისათვის, რომ ის ახლა წმინდა წყლის სისულელეს როშავდა, ალერსიანად უღიმოდნენ და ანიშნებდნენ, აბა გადმოალაგე, რა გაქვსო.

— ადრეც ხომ გითხარით... გასაღებით გადმომცეს

— რადიოდუმილის ზონაში შევედით. იუპიტერი ჩადგა ჩვენს შუა. — თქვა დემიანმა და ღრმად ამოიოხრა.

მიროსლავი პირქუშად დუმდა. ჭაღარა ქოჩორი შუბლზე ეფინა, მომწვანო თვალებში კი უნდობლობისა თუ ეჭვის ნაპერწკლები ულვივოდა.

— არა, ამჟამად პლანეტების დიდ წრეზე გამოსული პირველი ხომალდი „ასტრაა“, რომელსაც შიგ ადამიანები ჰყავს, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— მირა, ძვირფასო, გევედრები, სასწრაფოდ დავბ-

ოუნდეთ ასტეროიდზე... ვატყობ, რომ უჩვენოდ რაღაცას გადაეყრება ბავში...

— ეს შეუძლებელია.

ფაინამ გაავებით შეხედა.

— შენ გესმის? ადამიანს საფრთხე ემუქრება და მერე ვის, გუზანს, რომელიც ჩვენი პირმშოა კოსმოსში. უფრო მეტიც, საფრთხეშია ჩვეულებრივი კი არა, არამედ ერთადერთი ადამიანი, რომლის ჯანმრთელად დაბრუნებას მოუთმენლად მოელის მთელი მსოფლიო; საფრთხეშია კოსმოსური ფარმაკოლოგიის უდიდესი მონაპოვარი, ჩვენი მეცნიერი ექიმების თავდადებული შრომის ნაყოფი... იქნებ გგონია, ჩემი კარიერა მაფიქრებს, ჩემი დისერტაცია... მე მაწუხებს იმ ადამიანთა ბედი, რომლებიც სისხლის ცირკულაციის დარღვევებით, ძვალკუნთოვანი სისტემის მძიმე მოშლილობით და სხვა უკურნებელი სენით დაავადებულნი მხსნელ მესიასავით მოელიან უწონობის პირობებში მკურნალობას...

— გაიგე, რომ ეს შეუძლებელია ობიექტურად და სულაც არ არის ჩემს სურვილზე დამოკიდებული. ახლა ასტეროიდი 9027 კვლავ მზისკენ მიქრის. უკეთეს შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ბოლო ხუთ შემოვლაზე უარი ვთქვათ და მერე გავიდეთ აფელიისაკენ წამოსული ასტეროიდის შესახვედრად.

მძიმე დუმილი ჩამოწვა.

— შევკითხოდით მაინც, რა სიგრძის ტალღებზე ჰქონდა გუზანს საუბარი იმ კოსმოსელ სირინოზთან, — თქვა დემიანმა, — თუმცა, რას ვამბობ, ეს ხომ სუფთა ჰალუცინაციაა და მეტი არაფერი, — ხელი ჩაიქნია და მიკროტალღებზე მომუშავე რადიომეტრისაკენ მიბრუნდა.

ხელსაწყოთა გაზომვებით, პლანეტის ზედაპირზე ტემპერატურა მინუს ას ორმოცდაათ გრადუსს აჭარბებდა.

ხომალდი წინ მიქროდა. მის ყოველ ილუმინატორში ავი თვალით იმზირებოდა იუპიტერი.

●

... ტყეში კვამლი ადიოდა. მოჭრილ ხეებთან მუშები ისხდნენ. უცხოები იყვნენ. და მათ შორის არც ერთი არ იყო ქალი... მაშ საიდან ისმოდა ქალიშვილების რაკრაკა ხმების შორეული მოძახილი?..

კბოდეზე გადმომდგარ მაღალ ნეკერჩხალს შეყვითლებული, ნამით დამძიმებული ფოთლები სცვიოდა და იქვე, უფსკრულის თავზე გადადიოდა ნეშომპალათი დაფარული გზა...

ფრიალოს თავზე თეთრკაბიანი არყები იდგნენ. წვრილი ტოტებით, როგორც მკლავებით, ერთმანეთს გადასჭდობოდნენ და შიშნაკრავი გადაჰყურებდნენ უფსკრულს. განაპირა არყის კენარი ხისათვის ხეშეშქერქიან ტანად მუხას ჩაეკიდებინა ძარღვიანი ხელი...

„მე და შენ... მე და შენ...“ — ისმოდა მათ შრიალში.

პიტალოებიდან გადაკიდული ნისლი ზღვაში ეშვებოდა ჩანჩქერად...

და ილანდებოდა ამ სილუეტებში თავდახრილი წაბლისფერთმიანი ქალწული, უზრად მდგარი გოლიათი ვაჟის წინაშე, ნიავი უწეწდა ფაფუკ თმას და სახეზე ელამუნებოდა ვაჟს, მათი სახეები ლამის ერთმანეთს ეხებოდა...

„მე და შენ... მე და შენ...“ — ისმოდა კლდეების ჩურჩული.

მერე ყვირილი მოედო მთებს. ექოებმა ხევები დაირბინეს და ფრიალოს მოაწყდნენ... ის იყო, ის... სევდიანი, სულისშემძრავი ძახილი მარტოობისათვის განწირული ქალისა...

ფოთოლცვენა იდგა მთებში, წვიმდა. ტიროდა, კურცხლებად აბნევდა მახვილ ფოთლებს ნეკერჩხალი, უნუგეშოდ, გაუთავებლად ქვითინებდა დაცალებული...

„მე და შენ... მე და შენ...“

●

გუზანს გამოეღვიძა, მაგრამ ისევ ზმანებას ეპყრა მისი გონება და კვლავ მონისლულ სივრცეებში დაატარებდა. ეს იყო ლამაზ ფერებში ნანახი რაღაც ახალი სამყარო, აქ ყველაფერი წუთიერად წარმავალი, სათუთი და მიმზიდველი იყო...

და ყველაფერი თრთოლვით, იდუმალებით სავსე...

ბიჭმა თვალი გაახილა, საბოლოოდ გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ ნანახს სულ სხვაგან ჰქონდა სათავე... წუხანდელი რადიოსეანსი გაახსენდა...

ანდრომაქე... კოსმოსში მარტოდ მყოფი ქალიშვილი...

ანდრომაქე ალაბამიდან... ასტეროიდად ქცეული ანდრომაქე...

გუზანმა გუშინ პირველად ნახა იგი ეკრანზე...

„მე ანდრომაქე ვარ... მე ანდრომაქე ვარ... ეული, მხოლოდშთენილი გოგო. და შეცივნული. რატომ ჩამკირეს ამ სიცივეში... არ ვიცი, რატომ... აქ რომ მყოლოდა ჩემი მუსტანგი, გავაქროლებდი მზისკენ...“

გუზანმა იცოდა, რომ მუსტანგი ველურ ცხენს ჰქვია. უკვირდა, განა რომელი საუკუნის მცხოვრები უნდა ყოფილიყო მუსტანგის პატრონი? იქნებ სულაც არ არის იგი დედამიწიდან მოსული და სხვა ცივილიზაციის წარმომადგენელია?.. მაგრამ საიდან იცის ტროას ამბები? ჩანს, „ილიადაც“ წაუკითხავს. ნამდვილად დედამიწიდან არის. ვინ უნდა იყოს ან ვის ეძახის ნეტა ასე გულშიჩამწვდომად?.. ვიღაც ედგარს უხმობს თავისკენ, მიშველეო, სთხოვს.

დღეს უკვე მესამე დღეა, რაც სანავიგაციო რუკის თანახმად ასტეროიდი 9027 მზისგან გამობრუნდა და თავისი ორბიტის ყველაზე უკიდურესი წერტილისაკენ — აფელიისაკენ მიეშურება. მალე მაინც დაბრუნდებოდეს „ასტრა“, ძია მირა ყველაფერს ახსნიდა.

წუხელ სულ სხვა სეანსი იყო. სულისშემძრავი აღსარება უფრო იყო, ვიდრე სეანსი... აღსარება ერთი შეუბღალავი გულისა... ეტყობოდა, მან უკვე მიიღო გუზანის სიგნალები, გუშინწინ ღამით რომ გაუგზავნა, მაგრამ არ შესწევს უნარი, გაერკვეს მათ რაობაში...

„ეს შენა ხარ, სასურველო, იმედიანი ხმა რომ მომაწვდინე ამ ყაიმეთში? ო, ჩემო ედგარ, როგორ გაძახარე... შენმა ხმამ აქაც მომძებნა... მომძებნა, გამათბო კიდეც. ახლა მარტო აღარა ვარ... ჩვენ კვლავ ერთად ვართ, ერთმანეთის ახლოს ვსუნთქავთ... მე და შენ... მე და შენ... მოვფრინავ ორბიტაზე და მგონია, რომ სადაც არის შევხვდებით, ედგარ, და ერთად ვიქნებით სამარადჟამოდ... მე და შენ... მე და შენ... მითხარი, ხომ ასეა, ედგარ... მე და შენ... მე და შენ“.

გუზანს თავის სიცოცხლეში არასოდეს მოესმინა ქალიშვილის ასეთი მთრთოლვარე ფიცი და აღსარება, გაოგნებული იყო. რა უნდა ეპასუხა?

სკოლაში წასვლის დრო ახლოვდებოდა. სამეცადინო კუთხეს მოავლო თვალი. მუყაოს ჩარჩოდან ფანქრით ნახატი ხმალამოწვდილი გიორგი სააკაძე შემოჰყურებდა. იქვე რვეულები და წიგნები ელაგა. ზედა რვეულზე ქართულად ეწერა: „თბილისის ოცდამესამე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე გუზან ჯაყელი“.



გაღიმა. ნაკვეთურში ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, კლდოვანი, უსიცოცხლო უდაბნოს ხედი რომ არა, ილუმინატორიდან რომ მოჩანდა.

წამოდგა, ივარჯიშა, ცივი შხაპი მიიღო და უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო. საუზმის შემდეგ სამეცადინო ნაკვეთურში გავიდა. ლამის დაიგვიანა — იმავე წუთს თბილისის ქუჩაში ამოყო თავი.

ბიჭი თავდავიწყებით ეძლეოდა სტერეოვიზორით გამოწვეულ ილუზიას, ოღონდ მართლა თბილისში ეგრძნო თავი, გაეგონა იქაური ხმაური, ლაპარაკი და სკოლის გზას დასდგომოდა მეგობრებთან ერთად.

სტერეოეკრანი ხმაურით გადაირთო და მაშინვე ნაკვეთური საკლასო ოთახად იქცა. ღია კარიდან ერთიმეორის მოყოლებით შემოდიოდნენ მოსწავლეები და სხვებთან ერთად გუზანსაც ესალმებოდნენ. „ნინოს გვერდით კვლავ არავინ ზის, ალბათ გუზანს უნახავენ ადგილს“.

„გახსოვს ის წვიმიანი დღე... ბოლო დღე, ედგარ?... ჩვენ ერთად ვიყავით იმ დილით. ახლადგაღვიძებულნი, პირდაბანილები და ლამაზად ჩაცმულნი... შენ ქუჩის კუთხეში მელოდი. მერე ერთად მივდიოდით, წამით არ მაშორებდი თვალს, შემომხაროდი...

მუსტანგზე ვისხედით... ჩემს მუსტანგზე. მე თავგამეტებით მივაქროლებდი ჩემს ზღაპრულ მერანს. შენ მიმველ მხარზე მომაყრდენი თავი და ასე ერთად მყოფნი მივეძალეთ სივრცეს. ჩვენც არ ვიცოდით, სად მივისწრაფოდით, საით მიგვაქანებდა სიხარულის ფრთები... უცებ ნისლი ჩამოწვა მთებში, წყვდიადმა გადაგვიკეტა გზა, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობდით ქროლვას უფსკრულის თავზე... ვიდრე ყველაფერი ცივმა უსასრულობამ არ დაფარა...

მას შემდეგ გეძებ და ვეღარ მიპოვიხარ, ედგარ, და მგონია, ყველგან ვართ... მე და შენ... მე და შენ...“

შორეულ რადიოჩქამებთან ერთად, როგორც წვიმის ხმაურში ჩაესმოდა გუზანს უცნობი ფერიას ჩურჩული და დაფიქრებულად უმზერდა საქმიანად მოფუსფუსე თანაკლასელებს.

იმავ წუთს ჭაღარასაფეთქლებიანი, მელოტი კაცი შემოვიდა კლასში, მაგიდის წინ გაჩერდა და ნაოჭდასხმულ შუბლზე შემოიდო ხელი.

ფიზიკის გაკვეთილი დაიწყო.

•

— გუზანი რას შვრება, როგორ გრძნობს თავს? — გამოღვიძებისთანავე იკითხა ხომალდის მეთაურმა.

— სეისმოკარდიოგრაფი მარწმუნებს, მშვიდადა სძინავსო, მაგრამ მე მაინც მეეჭვება, — მიუგო ფაინამ.

— ჩინებულია. როგორც კი გაიღვიძებს, დაველაპარაკებით. მე მაინც ის მაკვირვებს, საიდან გამოტყვრა ანდრომაქე და თანაც ასტეროიდი. ასეთი ციური სხეული მართლა არსებობს... უფრო სწორად, არსებობდა. ეს იყო ასტეროიდების ერთ-ერთი აღმომჩენის ჯონი უოტსონის პერსონალური ასტეროიდი. მან სიკვდილის შემდეგ ფულადი თანხაც კი დატოვა მათთვის, ვინც თავის თავზე აიღებდა ამ ასტეროიდზე ზრუნვასა და თვალთვალს. მიუხედავად ასეთი ყურადღებისა, ასტეროიდი მაინც დაიკარგა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ნუთუ ახლა ისევ იმ ანდრომაქზეა საუბარი? თანაც მიწიერი ენით მოლაპარაკეზე. საიდან, როგორ? ძილშიც კი ამაზე ვფიქრობდი.

ილუმინატორებში კვლავ იუპიტერი მოჩანდა. ხელსაწყოთა ჩვენებები ადასტურებდა, რომ ეს იყო ცივი გაზების ღრუბლებში გახვეული გათოშილი პლანეტა. მით უფრო ძნელი ასახსნელი იყო მეწამულად გადღლაფული ვეება ლაქა და რადიოგამოსხივებათა თბური ბუნება.

დემიანი იუპიტერის დეკამეტრიულ გამოსხივებაზე დაკვირვებით იყო გართული.

— დემ, დასვენების დროა, — შეახსენა მირამ.

დემიანმა შესივებული ქუთუთოები მოისრისა.

— დაწოლას აზრი არა აქვს, სულ ერთია, ვერ დავიძინებ, სანამ დაწვრილებით არ გავიგებ კოსმოსელი სირინოზის ამბავს. „კამასთან“ მორიგ სეანსს დაველოდები.

— როგორ მიდის საქმე? — მიუბრუნდა მეთაური ფაინას.

— მგონი იღვიძებს.

მირა დისტანციური მართვის პულტს მიუბრუნდა და ვარდისფერ კლავიშს დააჭირა თითი.

საპლანეტთაშორისო სადგურის ნაკვეთური სრულ წესრიგზე იყო. ბიჭი ჯერ ისევ საძილე ტომარაში ნე-

ბივრობდა. კარგად გამოძინებული ჩანდა. წამოიწია და ღიმილში გაიბადრა.

— დილა მშვიდობისა, გუზან, — გაისმა ფაინას ღუღუნა ხმა.

— გამარჯობა, დეიდა ფაინა, გამარჯობათ, ძია მირა, ძია დემ.

ასტრონავტები ალერსიანად მიესალმნენ. იდგნენ და თვალებით ესიყვარულებოდნენ.

— კარგად გეძინა? — ფაინა არავის აცდიდა გუზანთან საუბარს.

— იცით, მე ეკრანზე ვნახე იგი, — ახარა ბიჭმა.

— ვინ? — თითქმის ერთხმად წამოსცდათ ასტრონავტებს.

— ანდრომაქე.

— ასტეროიდი? — ურწმუნოდ იკითხა მირამ.

— ასტეროიდი კი არა, თვითონ... ქალიშვილი, სკაფანდრიანი ქალიშვილი.

შეცბუნებულმა ასტრონავტებმა ერთმანეთს შეხედეს.

— გინდათ, ტექსტი წაგიკითხოთ? თუ ჩემი არ გჯერათ, დიქტოფონს ჩავრთავ, ისიც ხომ ჩაიწერდა სიგნალებს.

— წაიკითხე, — უთხრა ფაინამ დავარდნილი ხმით.

ბიჭი ქაღალდს მისწვდა, გაშალა და აღელვებულმა მთრთოლვარე ხმით დაიწყო კითხვა...

ეკიპაჟმა ყველა საქმე მიატოვა. უძრავად იდგნენ და გაკვირვებულები თუ დაბნეულები მისჩერებოდნენ თვალებანთებულ ბიჭს, რომელიც ნაკლებად უყურებდა ქაღალდს და თითქმის ზეპირად ამბობდა ტექსტს.

მირამ ისღა მოახერხა, რომ მკაცრად უბრძანა სეანსის ბოლოს:

— კატეგორიულად გიკრძალავ ძირითად ნაკვეთურში გასვლას. გასაგებია?

ბიჭმა მორჩილად დახარა თავი. ეკრანი ჩაქრა.

— დემ, დაიძინე, — ჩაილაპარაკა მირამ და ფაინას ანიშნა, შეცვალეო.

დემიანი დასასვენებლად გაემართა, მირა კი მართვის პულტთან იდგა და ფიქრიანად იმეორებდა:

— ანდრომაქე ალაბამიდან... მუსტანგი... და მერე ვიღაცა ედგარი... — თავი ასწია და ფაინას შეეკითხა: — ბიჭს რა წიგნები დაუტოვე საკითხავად?

ფაინა მიუხვდა.

— სათავგადასავლო სრულიად არაფერი. მხოლოდ ზღაპრების წიგნი აქვს, დემიანმა რომ აჩუქა.

მირამ კვლავ ფიქრი განაგრძო. მერე უცბად წელში გასწორდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სხვა გზა არ არის. დედამიწას უნდა დავუკავშირდე. შორეული კოსმოსური ფრენის ცენტრს... ყურსასმენები მოირგო და რადიოგადამცემთან დაიხარა.

ფაინა მალულად ადევნებდა თვალს ხომალდის მეთაურის ყოველ მოქმედებას. ხედავდა ფერადი ათინათით განათებულ მის მკაცრ სახეს და დაძაბულად ელოდა...

დიქტოფონები რადიოგრამის ტექსტს იწერდნენ.

მე „ასტრა“ ვარ. სასწრაფოდ მაცნობეთ, დედამიწიდან არის თუ არა გაშვებული რომელიმე კოსმოსური ხომალდი, დიდი წრით ან უშუალოდ იუპიტერის მიმართულებით...

ხომალდი მორიგ გარსშემოვლას ამთავრებდა იუპიტერის ირგვლივ.

— ასტეროიდზე როდის ვბრუნდებით? — შეახსენა ფაინამ.

— ჯერჯერობით იუპიტერის ორბიტაზე ვრჩებით. ვცადოთ მიმართული ანტენით გაგზავნილი რადიოსიგნალებით მოვჩხრიკოთ ახლოს გამავალი ასტეროიდები, იქნება მივაგნოთ ანდრომაქეს კვალს. გუზანიც ხომ ჩვენს ძებნაში წააწყდა რადიოსიგნალებს, ჩანს, სადღაც ამ ზოლში იმყოფებოდა, თუკი არსებობს საერთოდ.

— ბავშვი?

— ბიჭს არაფერი მოუვა, ხომ ხედავ, მშვენივრად გამოიყურება. კოსმოსში აღმოჩენის ავტორი გახდა, ამაზე მეტი დადებითი ემოცია?.. წვრილმანების გულისთვის ფრენის პროგრამას ვერ შევამცირებ.

ფაინას გული შეეკუმშა ამ სიტყვების გაგონებაზე.

მირას მთელი ყურადღება იუპიტერს ეჭირა. სხვადასხვა განედზე ამოღვრილი წითელი ნაკადები გავარვარებულ ლავას წააგავდა, ისინი ყველა მხარეს მიჩუხჩუხებდნენ და მეწამულად ღებავდნენ აირს. საოცარი კიდევ ის იყო, ყოველი სარტყელი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიჩქარით მოძრაობდა პლანეტის წარმოსახვითი ღერძის ირგვლივ.

— იუპიტერი იგივე აირებისაგან შედგება, რისგანაც მზე. მისი ატმოსფერო წყალბადითა და ჰელიუმით არის გაჯერებული, ოღონდ გრავიტაციული კუმშვის ენერგია საკმარისი აღარ გამომდგარა, რომ მზესავით ანთებულიყო.

ფაინას მისი მეცნიერული დასკვნებისათვის არ ეცალა, ნაღვლიანი სახით იჯდა ილუმინატორთან და გუზანის შემდგომ ბედზე ფიქრობდა. ახსენდებოდა უძილო ღამეები, გატარებული მის სასთუმალთან, როცა ძალიან უჭირდა ბიჭს, აგონდებოდა მისი მშობლების უმწეო, მონდობილი ღიმილი იქ, დედამიწაზე, როცა შვილს ისტუმრებდნენ უსასრულოდ შორეულ გზაზე გამოუცნობი ბედისა და ამ მათთვის უცხო ქალიშვილის ანაბარად...

სეისმოკარდიოგრაფის ჩვენებამ შეაწყვეტინა ფიქრი. „კამაზე“, ეტყობოდა, კიდევ რაღაც მოხდა.

მეთაურმა ზურგი შეაქცია ილუმინატორს და შორეული რადიოკავშირის პანელთან მიდგა. ეკრანი ხმაურით ჩაირთო... ერთმანეთის ჯვარედინი, წრიული ხაზები შავი ცის ფონზე, მათ მიღმა კი როდის-როდის ბუნდოვნად გამოიკვეთა საპლანეტთაშორისო სადგურის გლუვი სილუეტი, მერე თანდათან იმატა შუქმა, ტელეთვალმა კორპუსის შიგნით შეიხედა.

ფაინამ მადლიერების თვალით შეხედა ხომალდის მეთაურს, მერე კი მთლიანად ეკრანმა დაიპყრო მისი ყურადღება.

გუზანი საძინებელ ნაკვეთურში იჯდა, ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა და ტიროდა.

— რატომ ტირი, ჰირიმე, მარტოს მოგეწყინა? — მიეფერა ფაინა.

ბიჭმა შუბლს ქვემოდან გამოხედა, ღაწვისთავებზე ცრემლი უკრთოდა.

— ის უკანასკნელ დღეშია... ბო-დავს...

— ვინ ის?

— ანდრომაქე.

— როგორ თუ ბოდავს?.. შენ საიდან იცი?

— ჩა-ვი-წე-რე, — გულამოსკვნით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— აბა, მომასმენინე.

— არ შე...მიძ...ლია, — ამოღერღა ძლივს და უარესად აქვითინდა.

ფაინამ ტუჩი მოიკვნიტა და მირას მიუბრუნდა.

იმავე წუთს ეკრანი გამოირთო და ისინი პირისპირ დარჩნენ.

— თქვენ... თქვენ გულქვა ადამიან ხართ, — ქალიშვილს ტუჩები აუთრთოლდა.

მირამ მზრუნველად მოხვია მხარზე ხელი.

— ფაინა, დამშვიდდი, ნუ ნერვიულობ. აბა, მე რა შემიძლია... კოსმოსს თავისი დაუწერელი კანონები აქვს, რომელთაც ამოდენა გოლიათი სხეულებიც კი უსიტყვოდ ემორჩილებიან. კონკრეტული ვითარება არ მაძლევს საშუალებას ახლავე ასტეროიდზე დავაბრუნო ხომალდი... უმოკლესი გზის მოლოდინში ვარ, გზა კი სულ მალე გაიხსნება ასტეროიდისა და იუპიტერის ორბიტები კიდევ ერთგან უახლოვდებიან...

მირას სიტყვა გაუწყდა, ქალს ხელი უშვა, ყურსასმენი მოირგო და გახარებულმა იყვირა:

— არის სიგნალი დედამიწიდან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მას უკვე ხელში ეჭირა რადიოგრამის ტექსტი.

— გააღვიძე დემიანი, — უთხრა ფაინას და ქაღალდი გაშალა.

„... დასავლეთის ერთ-ერთი კოსმოსური ფრენის ცენტრიდან, როგორც საიმედო წყაროებიდან გახდა ცნობილი, შარშანდელი წლის ივლისში გაშვებულია კოსმოსური ხომალდი იუპიტერის მიმართულებით. ფრენა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს და ამიტომ პრესაში არავითარი ცნობა არ გამოქვეყნებულა არც ფრენის მიზნისა და არც ეკიპაჟის შემადგენლობის შესახებ. თუმცა მაინც გამოჟონა ხმებმა, რომ ხომალდი, რომელიც კერძო კომპანიას ეკუთვნის, აპირებს ასტეროიდ ანდრომაქეზე დაჯდომას. ეს ასტეროიდი ასტრონომებმა გასული საუკუნის მიწურულს დაკარგეს, ამ ბოლო ხანებში კი იუპიტერის გრავიტაციულ ტომარაში აღმოაჩინა მეცნიერთა ჯგუფმა. ახლა იგი, როგორც ირწმუნებიან, გაწელილ ორბიტაზე მოძრაობს იუპიტერის ირგვლივ, როგორც მისი მეცამეტე მთვარე. გარდა ამისა, მიღებულია ცნობა, რომ ამ შორეული კოსმოსური ფრენის ხელმძღვანელებმა უკვე დადეს ხელშეკრულება ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან ხომალდიდან მომავალი ტელეგადაცემების მონოპოლიაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ კოსმოსურ ხომალდზე მეტად უჩვეულო ექსპერიმენტი ტარდება...“

მირამ კითხვა შეწყვიტა, ისედაც იცოდა ბოლომდე ტექსტის შინაარსი, ახლა ძვირად ღირდა ყოველი წამი.

— გამოცხადებულია ანდრომაქეს სიგნალის ძებნა საშტატო პროგრამით, — გასცა განკარგულება, — აბა, ყველანი ადგილებზე!

„ასტრა“ მორიგ გარშემოვლას ამთავრებდა იუპიტერის ირგვლივ, მისი ეკიპაჟი კი ზოლიანი გიგანტის ტყვეობაში მოხვედრილ მეცამეტე მთვარეს — ანდრომაქეს დაეძებდა.

გუზანი უეცარმა ხმაურმა გამოაღვიძა. ძლივს მიხვდა, რომ ხომალდი უახლოვდებოდა ასტეროიდს.

ამ უფორმო, მცირე ზომის ციურ სხეულს საკუთარი ატმოსფერო არ გააჩნდა და ამიტომ ხომალდს არ შეეძლო გამოეყენებინა დამუხრუჭების პასიური საშუალებანი, იგი ძრავებით ამუხრუჭებდა სიჩქარეს, რაც უკუფრენას წააგავდა...

უეცრად მძლავრი ბიძგით შეზანზარდა სადგური და ნელი ძიგძიგით განაგრძო რწევა.

ვიდრე წამოდგა და ტანთ ჩაიცვა, საშლიუზო ნაკვეთური მხიარული ხმებით გაივსო. მერე გადასასვლელი საძვრომის კარი გაიღო და პირველი ფაინა შემოიჭრა სადგურში, სკაფანდრი გაიძრო და გუზანს მოეხვია. მირამ და დემიანმა მხრებზე მოუთათუნეს, უხერხულად აკოცეს და განზე გადგნენ.

ვიდრე გუზანი მამაკაცებთან ტრიალებდა, ფაინა ექიმის თვალით აკვირდებოდა მის ყოველ მოძრაობას. გულში უხაროდა, რომ სულ აღარ შეინიშნებოდა ავადმყოფობის ნარჩენი მოვლენები ბიჭის მიხრა-მოხრაში.

მერე ბოლო ამბებზე გადავიდნენ.

— სად გაგონილა მამაკაცის ტირილი და მერე სად — კოსმოსში, — ღიმილით თქვა დემიანმა და თვალი ჩაუკრა მირას.

გუზანს მყისვე მოეღრუბლა სახე და ფაინასაკენ შებრუნდა. ექიმმა ქალმა თვალებში ჩახედა ბიჭს, მხარზე ხელი მოხვია და გაინაპირა.

— მაჩვენე ბოლო რადიოგრამა.

გუზანმა გულის ჯიბიდან ამოაძრო ოთხად გაკეცილი რვეულის ფურცელი. ვიდრე ის და ფაინა ჩუმად ჩურჩულებდნენ კუთხეში, მირამ დიქტოფონი ჩართო და ჩაწერილი ნიშნების კითხვა დაიწყო, დემიანიც მის გვერდით მოკალათდა და თვალმოხუჭული უსმენდა.

ფაინამ პორტატული აფთიაქი გახსნა. გუზანს წამალი მიაღებინა და მამაკაცებს მიუახლოვდა.

— რა ქენით, წაიკითხეთ ყველაფერი?

მირამ დიქტოფონი გამორთო და მისკენ შემობრუნდა.

— ბოლო რადიოგრამა მართლა ბოდვასა ჰგავს.

დემიანმაც, ეტყობოდა, ყველაფერი იცოდა, დაძაბულად უმზერდა ექიმს.

— არის გამოსახულება ეკრანზე! — მოისმა გუზანის ყვირილი ძირითადი ნაკვეთურიდან.

ასტრონავტები მაშინვე იქ გაჩნდნენ.

ეკრანი მკრთალად ციმციმებდა, სხვადასხვა სიბრტყეში აჩვენებდა ბუნდოვან სილუეტს, რომელშიც თანდათან გამოიკვეთა ადამიანის ფიგურა... აი, თურმე როგორ ხედავდა გუზანი ანდრომაქეს: სკაფანდრიან ქალიშვილს ნიღაბს უგავდა გაქვავებული სახე, თვალები მიელულა და ისე იწვა. აი, მან უღონოდ ასწია ხელი მისალმების ნიშნად და მაშინვე ძირს დაუვარდა. ასტრონავტები გაოცებულნი მიშტერებოდნენ ეკრანს. კრინტი არავის დაუძრავს. ბოლოს ფაინამ დაარღვია დუმილი.

— სახე გამოკვეთილად არა ჩანს, მაგრამ თუ უკანასკნელი რადიოგრამის მიხედვით ვიმსჯელებთ, დაახლოებით მაინც შეგვიძლია დავსვათ დიაგნოზი... აბა, დააკვირდით ამ სიტყვების აზრს: „გული მტკივა... ხველა... სული მეხუთება“. მკაფიოდ გამოხატული ფილტვების ბაროტრავმაა. აბა დააკვირდით, როგორ უღონოდ ამოძრავებს ხელის მტევანს...

ასტრონავტებმა ახლოს მიიწიეს ეკრანთან, მაგრამ გამოსახულება თანდათან გახუნდა და მერე სრულიად გაქრა. გუზანი მობუზული იდგა ჩამუქებულ ეკრანთან და უფროსებს შეჰყურებდა, როგორ მოიქცევიანო; ისინი კი იდგნენ და თითქოს ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

— სასწრაფო დახმარებაა საჭირო, — ვერ მოითმინა ფაინამ.

— წმინდა წყლის ფანტაზიაა, — ჩაილაპარაკა მირამ.

— რა არის ფანტაზია?

— დახმარებაზე ფიქრი. კიდეც რომ მივაგნოთ, შეწეობას ვერ აღმოვუჩენთ, ის ხომ უცნობი წარმოების ხომალდში ზის, შეპირასპირება რომც მოვახდინოთ, მაინც ვერ შევალთ მის კაბინეტში. ჩვენი და ამერიკული „აპოლონის“ სისტემის ხომალდების შეპირაპირება პრაქტიკულად მიღწეულია. მაგრამ ეს გახლავთ კერძო კომპანიის ხომალდი, რომლის ატმოსფეროს პარამეტრები ძირეულად განსხვავდება ჩვენისაგან. უცხოური ხომალდების მიკროჰავისათვის დამახასიათებელია სუფთა ჟანგბადი, ჩვენსაში კი აზოტის შემცველობა ოთხმოც პროცენტზე მეტია... აბა, სცადე გადასვლა, მაშინვე სისხლძარღვები დაგისკდება.

ფაინამ მკაცრად შეხედა.

— ტექნიკურ საკითხებში გარკვევისათვის მუდამ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ის, რაც ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმს, ეხება კოსმოსში, ჩემი ხუთი თითივით ვიცი. ვიცი, რომ სხვადასხვა სისტემის ხომალდების შეპირაპირების დროს მათ შორის წარმოიშობა საშლიუზო საკანი. აქ ასტრონავტს შეუძლია 2-5 საათის განმავლობაში დესატურაციის პროცესი გაიაროს, სუფთა ჟანგბადის სუნთქვით გაიწმინდოს სისხლი აზოტისაგან და მერე გადავიდეს უცხოურ ხომალდში. ასე არ არის?

— დაახლოებით ასე გახლავთ, მაგრამ სად გინდათ ეძიოთ ხომალდი? — მირა რამდენადმე გამომწვევად უყურებდა ექიმს.

— იუპიტერის მეცამეტე მთვარეზე, როგორც თქვენ განმარტეთ ამას წინათ.

მიროსლავმა მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა:

— სამწუხაროდ, მეცამეტე მთვარე საერთოდ არ არსებობს.

— მაშ... სად არის ანდრომაქე? — შეცბა ექიმი.

მირამ მხრები აიჩეჩა.

— ძია მირა, ძია დემ, გეხვეწებით, გადაარჩინეთ ანდრომაქე. ის ხომ ისეთი სუსტია... კეთილი და თანაც საბრალო... გადაარჩინეთ ანდრომაქე, — გუზანი ორივეს მოეხვია.

მიროსლავმა თმაზე ალერსით გადაუსვა ხელი აღელვებულ ბიჭს და უფრო ფაინას გასაგებად თქვა:

— ჯერ კიდევ ადრე ასტრონომები ეჭვს გამოთქვამდნენ, სატურნი ისე ახლოს მიდის ასტეროიდებთან, რომ შესაძლოა იუპიტერს ტროაელთაგან ერთ-ერთი მოსტაცოსო. ახლა ეს ვარაუდი პრაქტიკულად დადასტურებულია — სატურნის მსხვერპლი სწორედ ანდრომაქე გახლავთ... ასტეროიდი ანდრომაქე. როგორც რადიოგრამაში იტყობინებიან, სანამ სატურნი გაიტაცებდა, იგი დედამიწაზე აწვდიდა რადიოსიგნალებს, მერე კი უკვალოდ დაიკარგა. ამ ავანტიურის წამომწყებ ფულისა და სენსაციის მოყვარულ საქმოსნებს რაკი იმედი არ გაუმართლდათ, გაჩუმდნენ და ჩრდილში ყოფნა არჩიეს...

ასე დარჩა ანდრომაქე შორეული სატურის ორბიტაზე...

— სადაც უნდა იყოს, უნდა გავფრინდეთ მასთან, გადადება შეუძლებელია!

— თქვენ წარმოგიდგენიათ სატურნამდე მანძილი?

— თუნდ ჯოჯოხეთამდე წავალ ადამიანის გადასარჩენად.

იქამდე მისაფრენად მარტო ენთუზიაზმი არ იკმარებს, ჩემო კეთილო, საჭიროა საწვავიც. ტიციუსის განტოლებით გაანგარიშებული მანძილი აქედან სატურნამდე დაახლოებით ხუთი ასტრონომიული ერთეულია. ერთი ასეთი ერთეული ას ორმოცდაათ მილიონ კილომეტრს გულისხმობს... რამდენს გასძლებს ფილტვების ბაროტრავმით დაცემული ადამიანი?...

— ორ კვირას ან უფრო მეტს, — ფაინას გაუძნელდა სიცრუის თქმა.

— ჩვენ კი იქამდე ქროლვას, პლანეტების გრავიტაციული ბიძგებიც რომ გამოვიყენოთ სიჩქარის გასადიდებლად, თვეზე მეტს მოვუნდებით.

— ჩვენ მაინც ვალდებული ვართ ვცადოთ, საქმე ხომ ადამიანს ეხება.

დემიანმა უხერხულად ჩაახველა.

— ფაინა მართალია. ახლავე უნდა გავფრინდეთ, დროს ნუღარ დავკარგავთ. ხომ მივიღეთ უბედურების მაუწყებელი სიგნალები, რაკი მივიღეთ, მოვალენი ვართ გავეშუროთ საშველად.

— მეც უნდა წამოვიდე, დემიანს გუზანი ამოუდგა მხარში.

მიროსლავი მკაცრად უმზერდა კოლეგებს.

— გამოგიტყდებით, მეც ძალიან შემძრა ამ ამბავმა, მაგრამ ჩვენ არ გავფრინდებით სატურნისაკენ.

— რატომ? მიზეზი?

— ნამდვილი მიზეზის დასახელებას არ ვაპირებდი, მაგრამ, ვატყობ, მომიწევს... ჩვენ ვერ გავფრინდებით თუნდაც იმიტომ, რომ ანდრომაქე ადამიანი არ გახლავთ.

ასტრონავტები გაკვირვებულები მიაშტერდნენ თავიანთ მეთაურს.

— როგორ თუ ადამიანი არ არის! მაშ ეს სიგნალები, გულში ჩამწვდომი მოგონებები ალაბამაზე, მუსტანგზე და ვინმე ედგარზე ვის ეკუთვნის? და, ბოლოს, ვინ იღუპება ფილტვების ბაროტრავმით, აგვიხსენით.

— მე შემიძლია დედამიწიდან მიღებული რადიოგრამის ის ნაწილი წაგიკითხოთ, რომელიც თქვენთვის აქამდე არ მიჩვენებია გარკვეული მოსაზრებით, — მირამ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და დემიანს გაუწოდა.

ფაინას ცნობისმოყვარეობამ სძლია, გვერდით დაუდგა დემიანს და სხაპასხუპით წაიკითხა:

„ამასთან, გაცნობებთ, რომ ხომალდზე, როგორც კომისიიდან მიღებული სიგნალებიდან ჩანს, იმყოფება კიბორგი, რომელიც ბოლო ექვსი თვეა დედამიწის სიგნალებზე პასუხს აღარ იძლევა“.

— მას შემდეგ, რაც სატურნმა გაიტაცა, — დაუმატა მირამ.

— იქნება კიბორგი ადამიანსა ჰქვია? — გაუბედავად იკითხა გუზანმა.

— არა, კიბორგი ადამიანად არ ჩაითვლება, თუმცა რამდენადმე მაინც ადამიანია, — მირა თავს არიდებდა პასუხს.



— ნუ გვეკიბავთ, პირდაპირ გვითხარით, გული მოუვიდა ფაინას.

— ეგ თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, მედიცინის სფეროა.

— გამოგიტყდებით, რომ არ ვიცი, აგვიხსენით.

— კიბორგი — კიბერნეტიკულ-ბიოლოგიური ორგანიზმი, ნახევრად ავტომატი, ნახევრად ადამიანი. გულიც, სისხლძარღვებიც, და აუცილებელი შინაგანი ორგანოები ხელოვნური აქვს, მხოლოდ სისხლი და თავის ტვინი გააჩნია ადამიანისა. ანდრომაქე კიბორგია, მაგრამ დიაგნოზი მაინც სწორად დაუსვა ჩვენმა ექიმმა. კიბორგს შესაძლოა ქართლაც დამართოდა ფილტვების ბაროტრავმის მსგავსი რამ ჟანგბადის ზედმეტი რაოდენობით მიწოდების შედეგად.

დუმილი ჩამოწვა. მძიმედ, მაგრამ თანდათან ერკვეოდნენ მომხდარ ამბავში. დამნაშავეებივით თავჩაქინდრულები იდგნენ, ერთმანეთისათვის ვეღარ შეეხედათ, თითქოს მათ მიუძღოდათ ბრალი ამ არაადამიანური ექსპერიმენტის მოწყობაში. ყველაზე მეტად გუზანს უჭირდა იმ უცნაური ხილვების სამყაროდან გამოსვლა და სინამდვილესთან შეგუება.

●

კოსმოსურმა ხომალდმა „ასტრამ" კურსი დედამიწისაკენ აიღო. იგი მეორე კოსმოსური სიჩქარით მიაპობდა ვარსკვლავეთის ყინვიან სიცარიელეს და ყოველი წამით ამოკლებდა მანძილს მშობლიურ პლანეტამდე.

ასეთი უჩვეულო სტარტის შემდეგ ასტრონავტები ისე იყვნენ აღელვებულნი, რომ მიუხედავად დაქანცულობისა, არავის ეძინა.

მეთაური ფხიზლად ეწეოდა სამსახურს მართვის პულტთან, თუმცა დედამიწის საკომანდრო პუნქტიც უკვე ჰპატრონობდა ხომალდს.

მირას უკვე აღარ ჰქონდა ის პირქუში შესახედაობა. შუბლგახსნილი იჯდა დემიანის გვერდით და ხმადაბლა ელაპარაკებოდა, ერთი შეხედვისთანავე შეატყობდით, რომ საზრუნავი შეუმცირდა.

გუზანი თვალდახუჭული იჯდა და უკვე მშობლებზე, დედამიწაზე ფიქრობდა. მამა კავშირს არ წყვეტდა ვარსკვლავქალაქის საქმიან წრეებთან, ის პირველი გაიგებდა, რომ „ასტრა" უკვე დედამიწისაკენ მიფრინავს, დედას შეატყობინებს პირველ რიგში... დედა თითებზე დაითვლის თვეებსა და კვირეებს, სანამ ხომალდი დედამიწას მიუახლოვდება. ვინ იცის, კიდევ რამდენი დრო გაივლის, ვიდრე ცისფერი ვარსკვლავი დედამიწის სახეს მიიღებს.

მირამ ანდრომაქე ახსენა და გუზანმა მაშინვე თვალი გაახილა.

— ერუდირებული გოგო ყოფილა საწყალი, ეტყობოდა კარგად აზროვნებდა, გულისხმიერი ადამიანი ჩანს. რადიოგრამიდან ისიც იგრძნობა რომ შეძლებული ოჯახიდან ყოფილა. „მუსტანგი" საავტომობილო მარკაა ამერიკაში. საკუთარი მანქანის მფლობელი ყოფილა... სავარაუდოა, რომ კატასტროფაში მოჰყვა, საგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა და ამის შემდეგ გამოიყენეს მისი თავის ტვინი კიბორგის შესაქმნელად.

— რაც მეტს ვფიქრობ ამ ამბავზე, მით უფრო დიდ სისაძაგლედ მეჩვენება, — ჩაიდუდუნა დემიანმა.

ფაინა მდუმარედ იჯდა. ასე სერიოზულს და მკაცრს პირველად ხედავდა გუზანი თავის საყვარელ მკურნალს.

— მომეცით დედამიწის ვიდეოპანორამა, — გაისმა მეთაურის რიხიანი ხმილი შიდა კავშირით.

პლაფონის შუქი გაბაცდა. „ასტრა" ტრაექტორიის პირველი კორექციის შემდეგ კვლავ განაგრძობდა სრბოლას ცისფერი პლანეტისაკენ.

# ჩვენი უცხოელი თანატოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალიის პიონერთა ასოციაცია

პირველი პიონერული რაზმები იტალიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს დაიბადა. ისინი გაერთიანდნენ კავშირში, რომელსაც „იტალიის პიონერთა ასოციაცია" ეწოდება.

იტალიის პიონერთა ასოციაცია ძალზე მძიმე პირობებში მუშაობდა და მუშაობს. კათოლიკური ეკლესია სასტიკად სდევნის პიონერებსაც და მათ მშობლებსაც, პოლიცია კრძალავს წითელი ყელსახვევის ტარებას, პიონერთა შეკრებებს, ხელჯოხებით ერეკება ბავშვებს. დღეს იტალიაში აღარ არსებობს ერთიანი პიონერული ორგანიზაცია, პიონერული რაზმები პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან არის ჩამოყალიბებული.

იტალიელი პიონერები ატარებენ წითელი ფერის ყელსახვევს, რომელსაც მწვანე, თეთრი და წითელი არშია აქვს შემოვლებული. პიონერულ ნიშანზე სახელმწიფო დროშის ფონზე გამოსახულია გოგონა და ბიჭუნა.

პიონერებს თავისი წესი და კანონი აქვთ. ისინი ამ კანონის მიხედვით ცხოვრობენ და იღვწიან. მაგალითის მიმცემნი არიან სხვა ბავშვებისათვის, ყველგან — სკოლაში, შინ, ქუჩაში. ისინი მიჩვეულნი არიან გაჭირვების გადატანას და, რაც მთავარია, არასოდეს არ იტეხენ გულს, სწამთ მშრომელი ხალხის გამარჯვება.

თავის დროზე ტურინელმა, გენუელმა, ფლორენციელმა პიონერებმა ჩაატარეს ვიეტნამში ომის საწინააღმდეგო მიტინგები. ვიეტნამელ ბავშვებს სოლიდარობის და მეგობრობის ნიშნად გაუგზავნეს ოცი ათასი ბარათი. აგროვებდნენ ფულად სახსრებსაც. საერთოდ, ისინი მხურვალედ ეხმაურებიან იტალიის კომპარტიის ყოველ მნიშვნელოვან წამოწყებას.

## კონგოელი პიონერები

კონგოელი პიონერები მუშაობენ სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ პარტიის ლოზუნგია: მშვიდობა და სოციალიზმი, ერთიანობა და სამართლიანობა. სოციალიზმისაკენ გზა კონგოში არ არის იოლი — კოლონიზატორებმა დაშლის, სიღატაკის პირამდე მისული ქვეყანა დატოვეს.

ქვეყანაში ათასობით წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ერთ მასწავლებელზე მოდიოდა 70 მოსწავლე. ამიტომ პიონერები აქტიურად ჩაებნენ უწიგნურობასთან ბრძოლაში. სოფლებში გაიხსნა კლუბები: „ისწავლე წერა-კითხვა". ამ კლუბებში მასწავლებლებად პიონერები იყვნენ. ისინი ასწავლიდნენ წერა-კითხვას მშობლებს, მოხუცებს, იმათ, ვისაც სიცოცხლეში პირველად ეჭირათ ხელში ფანქარი.

პიონერები მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამუშავებენ მინდვრებს, აშენებენ გზებს, ხიდებს, მაგისტრალებს.

ბავშვების ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო პირველი პიონერული ბანაკის — კონგოური „არტეკის" გახსნა. ეს ბანაკი კონგოელ პიონერებს საბჭოთა მეგობრებმა აუშენეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვისაუბროთ მომავალ პროფესიაზე

ვალერიან ჩეკურიშვილი



# ტყე შეუნახე შვილებსა...

მანქანა ტყეში პატარა მდელოზე შეჩერდა. გადმოვედით. შეფარვით ვაკვირდები არაბულს, ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექტორს. იგი ხევსურია, ტანსრული, დინჯი. სასიამოვნო ხმა აქვს, საინტერესოდ საუბრობს, სიტყვებს ბოლომდე გარკვევით და სწორად წარმოთქვამს. ასეთი რამ უმთავრესად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ახასიათებთ.

სამუშაო საათები რომ დამთავრდა, აქეთ გამოვისეირნეთ. მე მასთან საუბარი მსურს. ეს მანაც იცის. მომზადებული მაქვს კითხვები. მაგრამ, ვიდრე შევეკითხები რამეს, თვითონ მეკითხება:

— ჰა, ხომ მოგწონთ, — თან ხელები გაშალა, — დაილოცოს განგების მადლი, რამოდენა სიკეთის პატრონი ვართ.

— ჭეშმარიტად! — ვეთანხმები.

მოზრდილი კალოსოდენა მდელოზე მუხლამდე გვწვდება ბალახი. გარშემო აგუგუნებული წიფლის ტყე ისე გვარტყია, როგორც ზღვა.

საოცარი სიწყნარეა.

დიახ, სიწყნარე და არა სიჩუმე. ტყეში სიჩუმეს რა უნდა, ფრინველთა ჯადოსნური სიმფონია ისმის ნიადაგ. ხანდახან ნიავწანწალა წამოუბერავს და ფოთოლთა შრიალი სიამოვნების ჟრუანტელად გვივლის ტანში, ყვავილთა

## ვისაუბროთ ეთიკაზე

ნარგიზა მგელაძე

# უცნაური ნაცვალსახელი «მე»

ის-ის იყო საზაფხულო არდადეგები დამთავრდა. ჯერ კიდევ პაპანაქება სიცხეები იდგა. გაზეთის საპირველსექტემბრო ნომერი გავაკეთეთ და ახლა სულ სხვა საქმეებით ვიყავით დაკავებული.

რედაქციაში წითელყელსახვევიანი ბიჭუნა შემოვიდა და მოსწავლეთა განყოფილება იკითხა.

განყოფილების მუშაკები ადგილზე არ იყვნენ და ბიჭმა ისევ ჩვენ მოგვმართა:

— სურათი მაქვს მოტანილი. ვისთან უნდა დავტოვო?

— რა სურათია? — დავინტერესდით.

— ჩემი სურათია. ჭადრაკში ბანაკის პირველობაზე გავიმარჯვე და სურათი მოვიტანე გაზეთში დასაბეჭდად, ტექსტიც ახლავს, — განმარტა ბიჭმა. ჩვენ, ცოტა არ იყოს, სახტად დავრჩით.

— მაჩვენე სურათი, — დროის მოსაგებად მიმართა ერთმა თანამშრომელმა ბიჭს და სურათს დიდი გულისყურით დააცქერდა.

ბანაკის მოყვარული ფოტოგრაფის მიერ გადაღებული უბრალო სამახსოვრო სურათი იყო. ასეთ სურათს სიამოვნებით ნახავ 10-15 და მეტი წლის შემდეგ და გაიხსენებ ხალისით, თამაშით, ანცობით სავსე საბანაკო დღეებს, სიამოვნებით გამოუგზავნი ბანაკიდან დედას, უმცროს და-ძმებს, მაგრამ დაბეჭდვა, ისიც რესპუბლიკურ გაზეთში...

— საქართველოში ასობით პიონერთა ბანაკია. თითოეულ მათგანში ყოველ ნაკადში 10-12 სახეობაში მაინც ეწყობა შეჯიბრება, ყველა მათგანში გამარჯვებულის სურათი გაზეთში რომ დავბეჭდოთ, კოსმონავტებისათვის ადგილი აღარ დაგვრჩება, — ფრთხილად განვუმარტეთ ბიჭს.

— კი მაგრამ, ყველა ხომ არ მოიტანს? — არ დაიხია უკან ბიჭმა.

— ყველა, რა თქმა უნდა, არ მოიტანს, — დავიწყე მე და თან, ცოტა არ იყოს, სიბრაზე მომერია იმ უხიაგ ჯიუტობაზე, რითაც ეს პატარა ბიჭუნა ცდილობდა თავის პერსონის განდიდებას.

— არა, ყველამ რომ შენსავით იფიქ-

სურნელება გვაბრუებს.

— როცა ძალიან დავიღლები, ან როცა რამეზე მიმტყუნებს ნერვები, მაშინვე ჩემს უტყუარ მკურნალს — ტყეს მივაშურებ, — ღიმილით ამბობს არაბული.

მომენტით ვსარგებლობ და ვეკითხები:

— პატივცემულო ზაქრო, პირველად როდის იგრძენით ტყის სიყვარული?

ჩაფიქრდა, ეტყობოდა, გახსენება უნდოდა, მაგრამ თავი გაიქნია.

— არა, არ მახსოვს. ისე კი, ტყესთან ჩემი დაახლოება უცნაურად დაიწყო. მამაჩემი ხევსურეთიდან იორზე ჩამოსახლებულა თიანეთის რაიონში. ქოხი მდინარის მახლობლად დაუდგამს.



ზაქრო არაგული.

ერთ დღეს კოკისპირული წვიმებით გამძვინვარებული იორი მოვარდნილა და იქაურობა მიულეწ-მოულეწია. მამაჩემს ცოლ-შვილი ტყეში შეუხიზნია, ნიაღვარს კი ჩვენი ქოხიც წაუღია და პირუტყვიც. მე მაშინ ისე პატარა ვყოფილვარ, არაფერი მახსოვს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ტყის ბინადარნი, მაგრამ მამა იქიდან გომბორის მთის კალთაზე შეფენილ ხევსურთა პატარა სოფელში — ქორუბანში გადასახლებულა. აი იმ სოფლიდან იწყება ჩემი მეხსიერება. პირველი, რაც ჩვენი სახლ-კარის იქით შევიცანი ტყე იყო.

უტყეოდ მთიელ ხალხს არ შეეძლო არსებობა. იგი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო ჩვენთვისაც. ჩემი მამა-ბიძები მიდიოდნენ ტყეში და მოჰქონდათ ნადირის ხორცი, თაფლი, სოკო, არჟაკელი, ხუნწი, შალშავი პანტა, მაჟალო და ათასი სხვა რამ. ასე რომ, ჩემი ბავშვობა მჭიდროდა არის დაკავშირებული ტყესთან და ტყუილი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მისი სიყვარული აკვნიდან მომდევს-მეთქი.

— თქვენი დამოკიდებულება ტყესთან, ალბათ, ნაწილობრივ მაინც შეიცვალა ბავშვობიდან დღემდე...

— რა თქმა უნდა, რამენაირად შეიცვალა. სულ პირველად მე ტყეს ვხედავდი, როგორც მარტო სილამაზეს. შემდეგ — სილამაზეს და არსებობის საშუალებას ერთად. იმის შემდეგ კი, რაც მეტყევე ინჟინერი გავხდი, ტყე სულ სხვა რამ არის ჩემთვის.

— იქნებ გაიხსენოთ, პირველად როდის გაგიჩნდათ სურვილი გამხდარიყავით მეტყევე?

— გახსენება რად მინდა, ძალიან კარგად მახსოვს. ქორუბანში ცხოვრობდა მამაჩემის მეგობარი ხევსური, ალექა გოგოჭური. იგი ტყის მცველი იყო. დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში. ერთხელ ასეთ ამბავს შევესწარი: ერთ კაცს ტყიდან კამეჩებით წიფლის გათლილი მორი მოჰქონდა. ალექა გოგოჭური წინ გადაუდგა და ხის მოჭრის ნებართვა მოსთხოვა. არა ჰქონდა და ვერ უჩვენა. ტყის მცველმა ხე ჩამოართვა და სასტიკად გააფრთხილა: მეორედ უნებართვოდ ტყეში ცულით არ შეხვიდე, თორემ ასე იოლად ველარ გადამირჩებიო.

დამნაშავემ სულ ბოდიშები იხადა, წვალებით ჩამოტანილი ხე კოლმეურნეობის კანტორასთან დატოვა და ხელცარიელი წავიდა შინ.

ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იმ დღეს პირველად გავიგე, რომ ტყეს პატრონი, მცველი ჰყავდა და სპეციალური ნებართვის გარეშე ხის მოჭრა არ შეიძლებოდა. აი მაშინ გავიფიქრე, დიდი რომ გავიზრდები, უეჭველად მეტყევე გამოვალ-მეთქი (იმ დროს მეორე თუ მესამე კლასში ვიქნებოდი).

და აი, როგორც ხედავთ, მაშინდელი მცნებისათვის არც მიღალატია.

— კი მაგრამ, სხვა გატაცება, სხვა სურვილი არ გაგჩენიათ სკოლაში სწავლის დროს?

— როგორ არა! ერთხანს პოეზიით ვიყავი გაბრუებული, ვკითხულობდი ვაჟას და ჩუმად ვწერდი ლექსებს. პირველად მეგონა, მეც ვაჟასნაირ ლექსებს ვწერდი. მერე, რაც უფრო ღრმად ჩა-

---

როს და ყველამ თავისი სურათი მოიტანოს, მაშინ? — ჩაეკითხა ჩემი კოლეგა.

— მაშინ მე ,,ნორჩ ლენინელში" წავალ, — გულმოსულად თქვა ბიჭმა, სურათი გამოგვართვა და დაუმშვიდობებლად გავიდა ოთახიდან.

— უყურე ერთი, — ბრაზით ჩაილაპარაკა ჩემმა კოლეგამ, — დღეს საკუთარი პორტრეტის დაბეჭდვას ითხოვს, ხვალ ტელევიზიით გამოსვლა მოუნდება, მერე სიგელი, ჯილდო და ასე შეუპოვრად თუ იარა, ძეგლამდე მივა. უნივერსიტეტი კარგა ხანს დამთავრებული მქონდა, პირველად რედაქციაში რომ მივედი, — განაგრძო მან, — ისე მცხვენოდა, მეგონა, ქვეყანა მე მიყურებდა, ეს კი... ჰმ, ნეტავი თავმდაბლობას არავინ ასწავლის? ხომ იტყოდა სახლში, რედაქციაში, წასვლას ვაპირებ, ნუთუ მშობელმა არ უთხრა, რომ საკუთარი სურათის მიტანა უხერხული და საჩოთიროა, სხვაა ამხანაგის სურათი რომ მოჰქონდეს.

ამ თემაზე საუბარს მივყევით და ბევრი მსგავსი მაგალითი გავიხსენეთ.

მოვიგონეთ ერთი მშობელი, რომელიც სამ თვეს დადიოდა რედაქციაში, დაჰქონდა თავისი შვილის სურათი, საკავშირო ოლიმპიადაში გამარჯვებულის სიგელი და კი არ გვთხოვდა, პირდაპირ მოითხოვდა, გინდათ თუ არა, ჩემ შვილზე წერილი დაწერეთო.

ამ ორიოდე წლის წინათ კი ასეთი ამბავი მოხდა: თბილისის რამდენიმე სკოლის უფროსკლასელთა რაზმები ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ჩავიდნენ თავიანთი შრომითი მეოთხედის გასატარებლად. ახალგაზრდებმა მართლაც ჩინებულად იმუშავეს და კომკავშირის რაიონული კომიტეტების სიგელებით, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის მადლობებითა და პრემიებით დაჯილდოებულნი, გაჯანსაღებული და გახალისებული დაბრუნდნენ დედაქალაქში.

კმაყოფილი იყო ყველა. მოსწავლეებმა მეურნეობაში უამრავი მეგობარი შეიძინეს, იგრძნეს მზის ამოსვლამდე ადგომისა და ნაკადულში პირის ბანის, ცვრიან ბალახზე სიარულის, მოშიებულზე ოხშივარადენილი სადილის ერთად ჭამის, ბზისა და დაფნის სურნელით გაჟღენთილ საღამოებში კოცონთან ჯდომისა და სიმღერის სიტკბო.

გაიგეს ბოლოს და ბოლოს, როგორ მოჰყავთ ჩაი, რა ძნელია კილოგრამი ფოთლის მოკრეფაც კი და მართლაც რა პატივსაცემია ადამიანი, ვინც წლიდან წლამდე ტონობით ჩაის კრეფს.

იმას მოგახსენებდით, კმაყოფილი იყო-მეთქი, ყველა იმ დრომდე, ვიდრე კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი არ მოხდა. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორი უფროსკლასელი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომით მეოთხედში, დაჯილდოვდა მედლით — ,,მამაცური შრომისათვის".

ეს ჯილდო ერთგვარად სიმბოლურიც კი იყო და ნიშნავდა ყველას შრომის აღიარებას, ეს გახლდათ ყველას გამარჯვება, მაგრამ... ყველას ასე არ აღუქვამს იგი.

და აი რედაქციაში მოვიდა პირველი მომჩივანი. ხელში ეჭირა ცნობები, საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერიიდან აღებული ბეჭდიანი ქაღალდი იმის შე-

ვიხედე მის შემოქმედებაში, ეჭვით შევხედე ჩემს ლექსებს. ბოლოს სულმნათმა შოთამ საბოლოოდ ამიხილა თვალი:

„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვა ერთი, ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი“.

ჰოდა, თავი დავანებე იმაზე ფიქრს, პოეტი გამოვალო, მაგრამ ლექსების წერისთვის სტუდენტობის დროსაც არ დამინებებია თავი. ახლა კი სხვების დაწერილი კარგი ლექსებით ვიკლავ პოეზიის წყურვილს.

— სკოლა რომ დაამთავრეთ, ვინმეს თუ ჰკითხეთ — სწორად ირჩევდით თუ არა პროფესიას?

— საშუალო სკოლის დამთავრება დღემდე გზაჯვარედინად მაქვს წარმოდგენილი. საშუალო სკოლის შემდეგ ყველა ახალგაზრდა მიდის ცხოვრების ამ გზაჯვარედინთან, საიდანაც მრავალი მიმართულებით მიემართებიან გზები, და ფიქრობენ, რომელი გზით წავიდეს. აქ შეცდომის დაშვება არ შეიძლება, რადგან მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე იმ გზით უნდა იარო. სწორი არჩევანი წარმატებას ნიშნავს, მცდარი — წარუმატებლობას.

ამ გზაჯვარედინთან ხშირად ახალგაზრდებს მიჰყვებიან მშობლები, ბიძები და ბიძაშვილები, მამიდები და მამიდაშვილები, ბებიები, პაპები და, რა ვიცი... თავიანთი რჩევით გააბრუებენ ახალგაზრდას — ისტორიკოსობა რად გინდა, რომელ ციხეთა ნანგრევებით აპირებ აშენებასო, ფილოლოგობა რამ გაფიქრებინა, ლექსების კითხვით გინდა იცხოვროო? და ასე დაუსრულებლივ...

იმ გზაჯვარედინთან მე მარტოკა მივედი, არც არაფერი საფიქრალი მქონდა, პირდაპირ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისკენ გავწიე. სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩავაბარე მისაღები გამოცდები. ჩავირიცხე. დავიწყე სწავლა და აღმოჩნდა, — მე რომ მეგონა, ტყე ვიციო, თურმე არ მცოდნია. ხუთ წელიწადს მასწავლიდნენ პროფესორ-მასწავლებლები ტყის მოვლა-დაცვისა და ექსპლუატაციის წესებს, კანონებს, ხერხებს.

— წეღან, როცა ტყესთან თქვენს დამოკიდებულებაზე ვსაუბრობდით, თქვენ ბრძანეთ — რაც მეტყევე-ინჟინერი გავხდი, ტყე სულ სხვა რამეაო ჩემთვის. რას გულისხმობდით?

— დიახ, — გაიხსენა არაბულმა, — პირველად ტყეს ვხედავდი როგორც სილამაზეს, შემდეგ — როგორც სილამაზესა და საარსებო საშუალებას ერთად. მხედველობაში მქონდა ტყის ნაყოფით სარგებლობა, ახლა კი...

აბა წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედამიწაზე საერთოდ გაქრეს ხე.



გვალვაა. ტყეს დახმარება სჭირდება.

რა არ შეუძლია ადამიანის ფანტაზიას და მეც წარმოვიდგინე, რომ საერთოდ გაქრა ხე. პირველად ჩვენს გარშემო მოშრიალე ზღვა დაშრა და გორები უსიცოცხლო კლდე-ღრეებად იქცა.

მერე ოჯახებიდან გაქრა ხის ავეჯი, გაქრა კარები, ფანჯრები, ჩამოინგრა სახურავები, შეჩერდა მშენებლობები, გაქრა ბაღჩა-ბაღები, ღობეები, გაჩერდა ქარხნები, ფაბრიკები... გაქრა რვეულები, წიგნები, მერხები, დაფები სკამები...

— უპ, საშინელებაა! — წამოვიძახე დაზაფრულმა.

— თქვენ მაგ საშინელებისას მხოლოდ ნაწილს წარმოიდგენდით, — მეუბნება ღიმილით. — თქვენ ალბათ არ წარმოიდგინეთ, რომ დაშრა მდინარეები, ნაკადულები, წყაროები; თავშესაფრისა და საკვების გარეშე დარჩა ნადირ-ფრინველი...

— უპ, ეს რა საშინელებაა! — აღმომხდა ისევ.

— რა დიდი ბედნიერებაა, რომ სინამდვილეში ასე არ არის. რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ ახლა, ამ წუთში, ტყეში ვიმყოფებით. ამ ბედნიერებას კი მოვლა უნდა, ჭკვიანურად გამოყენება უნდა. აი როგორია დღევანდელი ჩემი დამოკიდებულება ტყისადმი.

ტყეს ყოველთვის იყენებდა ადამიანი, მაგრამ ისე არასოდეს, როგორც დღეს. თანამედროვე ტექნოლოგიურ პირობებში შეიძლება მერქნისაგან მივიღოთ თხუთმეტათასზე მეტი საგანი და ნივთიერება. მაგალითად, ერთი კუბმეტრი მერქნის დამუშავებით შეიძლება მივიღოთ 200 კილოგრამი ცელულოზა, ან 200 კილოგრამი საწერი ქაღალდი, 6000 კვადრატული მეტრი ცელოფანი, ან 5-6 ლიტრი ხის სპირტი, 20 ლიტრი ძმარმჟავა, ან 160 კილოგრამი ბოჭკო, რისგანაც შეიძლება მოიქსოვოს 65 კოსტიუმისათვის საკმარისი მატერია, ანდა დამზადდეს 4 ათასი წყვილი წინდა, ავტომანქანის 2 საბურავი, 180 წყვილი კალოში... არაფერს ვამბობ მერქნისაგან თვით ხის საგნების დამზადებაზე.

გარდა მერქნისა, ტყე იძლევა ხილს, სოკოს, სამკურნალო ნივთიერებებსა და მცენარეებს, ამრავლებს ნადირ-ფრინველს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს იცავს ქარებისაგან, ნიადაგს — ეროზიისაგან, მდინარეებს — დაშრობისაგან და, რაც მთავარია, უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობაში. ერთი სიტყვით, ადამიანს უტყეოდ არსებობა არ შეუძლია. ვიმეორებ, მას ჭკვიანურად უნდა მოვლა და მოხმარება — აი ასეთია დღევანდელი ჩემი დამოკიდებულება ტყისადმი.

— ახმეტის სატყეო მეურნეობა დიდია?

— ჩვენი ტყე 92 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული. აქ ხარობს მეტად ძვირფასი ჯიშები: მუხა, წიფელი, წაბლი, თელა, მურყანი, ქორაფი, ძელქვა, რცხილა... ახმეტის რაიონშია აგრეთვე ცნობილი ბაწარის ნაკრძალი. მთელ მსოფლიოში მარტო აქ არის უთხოვრის ტყე გაბატონებული სახით.

ახმეტის ტყეში ყველა სამერქნე ხე რომ მოიჭრას და დაიხერხოს, გამოვა 150 მილიონი ფიცარი, რომელთა საერთო სიგრძე ორჯერ გასწვდება დედამიწიდან მთვარემდე.

— ყველაზე მეტად რომელი ხე გიყვართ?

— მუხა! მუხა ხეებში ისე მესახება, როგორც ფრინველებში არწივი, ანდა

სახებ, რომ მან ამდენი მანეთი და ამდენი კაპიკი აიღო, დახასიათება სკოლიდან, რომ იგი სანიმუშო წესრიგისა და კარგი წარმატების მქონე მოსწავლეა, აქტიური კომკავშირელია. ცნობები კიდევ ბლომად იყო...

ბიჭი განაწყენებული სახით შემოვიდა, ცნობები გამომიწოდა და მდუმარედ ჩამოჯდა შეთავაზებულ სკამზე ჩემს პირდაპირ.

ბავშვი აღარ ეთქმოდა. მზედაკრულ სახეზე ღინღლი მორეოდა. წარბები ერთმანეთზე გადაბმოდა, რაც სახეს პირქუშ ელფერს აძლევდა...

ყურადღებით გადავათვალიერე ეს ცნობები და კითხვის გამომეტყველი მზერით შევხედე:

— გასაგებია, კარგად გიმუშავიათ. ახლა რამ შეგაწუხათ, გაუგებრობა ხომ არ მოგხდარა რამე?

— მოხდა! — მოკლედ და პირქუშად მითხრა ჭაბუკმა.

— გისმენთ, მიამბეთ,

აქ კი, არ გაუჭირდა-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. გაუჭირდა ლაპარაკის დაწყება. წარბები კიდევ უფრო შეკრა. ხელები უხერხულად დაიწყო მუხლებზე, მერე მაგიდაზე გადმოიტანა. კალენდარს დასწვდა, აიღო და ისევ ადგილზე დადო. ბოლოს, ეტყობა, ამ თავის გაუბედაობაზე გაბრაზდა და ერთბაშად წამოიძახა:

— მე ყველაზე კარგი შედეგი მქონდა. მედალი კი სხვას მისცეს.

— ვინ სხვას?

ბიჭმა დაასახელა ამხანაგის სახელი და გვარი.

— როგორი მოსწავლეა დაჯილდოებული?

— რა შუაშია აქ სწავლა? მედალი, მე მგონი, შრომისათვის იყო და არა სწავლისათვის.

— დაჯილდოების დროს ყველაფერს ექცევა ყურადღება, როგორ სწავლობს, როგორი კომკავშირელია, როგორი მაგალითია სხვებისათვის...

ჩვენი დიალოგის დაწვრილებით გადმოცემით თავს არ შეგაწყენთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ბევრს ვერაფერს გავხდი. რა აზრითაც შემოვიდა, იმავე აზრით წავიდა რედაქციიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ, მისი საჩივარი სხვა ინსტანციაში გაგზავნილი, ისევ ჩვენთან მოვიდა.

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ეს საქმე. გავიცანით დაჯილდოებული, საუკეთესო, მუყაითი ჭაბუკი, კარგი ორგანიზატორი, კომკავშირის კომიტეტის ძლივანი, მთელი რაზმის სული და გული.

ვესაუბრეთ პედაგოგებს, სკოლის დირექტორს, ამხანაგებს. ყველას აზრით ჯილდო ნამდვილად დამსახურებული იყო და თუ რამდენიმე კილოგრამი კიდეც იყო განსხვავება პრეტენდენტისა და დაჯილდოვებულის მონაკრეფს შორის, ეს საქმის ნამდვილ არსს ვერ გამოხატავდა, რადგან დაჯილდოებული ისე უანგაროდ ეხმარებოდა გოგონებს, რომლებსაც პირველ ხანებში გაუჭირდათ კრეფა, რომ ის რამდენიმე კილოგრამი მასზე ნამდვილად ალალი იყო.

ეს ყმაწვილი კი, თუმცა ენერგიულად მუშაობდა, მაგრამ როგორღაც განცალკევებით, ახლო არავის იკარებდა, უბის წიგნაკში გაფაციცებით იწერდა მოკრეფილ კილოგრამებს, ანგარიშობდა მანეთებზე და თუ კვირის ბოლოს რომელსამე ამხანაგს უკეთესი შედეგი ექნებოდა, სახეზე ჩრდილი გადაჰკრავდა. თითქოს ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ, რადაც უნდა დასჯდომოდა, ამხანაგებისთვის გაესწრო, მათზე უკეთესი გამოჩენილიყო. ერთხელ მწონავს წაეჩხუბა, 200 გრამით მეტია და რატომ არ მიწერო.

აჰა ეს ორასი გრამი და დაწყნარდი, ნუ ჩხუბობო, სიცილით უთხრა ამხანაგმა გოგონამ და თავისი კალათიდან მწვანე ლორთქო დუყები ბლუჯა-ბლუჯა გადაყარა ბიჭის კალათაში.

— თუ ძმა ხარ, ამ კალათას სულ შენ გაჩუქებ, — თქვა მეორე ბიჭმა და სავსე კალათა რაინდულად დადგა სასწორზე.

— გადმოდგით ეს კალათები და მე ამწონეთ, მინდა ცოტა მოვიკლო წონაში, — სიცილით წამოიძახა ლოყაწითელმა ანცმა გოგონამ და სასწორზე ახტა.

— რაც შენ მადა გაქვს, რა გაგახდენს, აჰა, ბატონო, კიდევ მოგიმატებია. 55 კილოსა და 200 გრამს იწონი. იცით ეს რა ორასია? ეს ორასი ის რიცხვია, რომლისთვისაც ჩვენი მზია ორ დღეს სადილს არ შეჭამს.

ატყდა სიცილი.

200 გრამზე განაწყენებული ბიჭი ცალკე გამდგარიყო იფნის ჩრდილში, მისი პრეტენზია ყველას დაავიწყდა.

სჯობდა კი არ დავიწყებოდათ და იქვე მეგობრების წრეში ან კომკავშირულ კრებაზე წამოეწყოთ საუბარი თავმდაბლობაზე, იმაზე, თუ როგორ ამშვენებს და ამაღლებს ეს სათნოება ადამიანს.

ერთი ჩინებული მწერალი მოხდენილად ამბობდა: არაფერი ისე იაფი არ გვიჯდება და არაფერი ისე ძვირად არ ფასობს, როგორც თავმდაბლობა.

თავმდაბლობა ეთიკის კატეგორიაა. იგი პატიოსნების ერთ-ერთი არსებითი და უშუალო გამოხატულებაა. თავმდაბლობის აზრი სამართლიანობისათვის მისწრაფებაა.

თავმდაბალი ადამიანი ყოველთვის ცდილობს მეტი პატივი სცეს სხვას, ვიდრე საკუთარ თავს.

ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი, ნიჭიერი ადამიანები ყოველთვის თავმდაბლები არიან.

გეხსომებათ, ერთ წვეულებაზე აკაკის უთხრეს:

— ბატონო აკაკი, ღმერთმა ქნას, საქართველოს თქვენისთანა შვილები გაუმრავლდესო.

— ეგ ღმერთმა ნუ ქნასო, — გულწრფელად შეაწყვეტინა მოსაუბრეს სიტყვა საქართველოს ბულბულმა. — საქართველოს უკეთესი შვილები სჭირდებაო.

რა საამო სანახავია თავმდაბალი ადამიანი, რა ადვილია მასთან ურთიერთობა! თავმდაბალ კაცს ვერ ნახავთ მოწუწუნეს, ის ყოველთვის ჯერდება ყურადღებას, რასაც მის მიმართ იჩენენ, არ აყენებს პრეტენზიებს. ის არ ხმარობს ფრაზებს: „ეს ჩემი დამსახურებაა, მე ეს მეკუთვნის“, „სხვის შრომას ჩემი სჯობიაო“ და როგორც გენიალური შოთა იტყოდა, არ „უცილობლობს ვითა ჯორი“ უბრალოდ ეს მისი ბუნებისათვის უცხოა.

მხეცებში — ლომი. მუხაზე ერთი ასეთი ნათქვამია:

„ხმა დაირხა, სოფელში სახლი წაიქცაო. მუხამ იკითხა, ნეტა ჩვენი ჯიშისა ხომ არ ერიაო.

არაო.

ჰოდა, კიდეც იმიტომ წაქცეულაო“.

ამ ნათქვამში არის რაღაც ისეთი, მუხას რომ ეკადრება.

— რამდენი ხანია, რაც მეტყევედ მუშაობთ?

—1953 წლიდან. ჯერ ახმეტის „ტყემრეწვმეურნეობაში“ ვმუშაობდი უბნის უფროსად, შემდეგ მთავარ ინჟინრად. 1973 წლიდან კი — ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექტორად. ასე რომ, ჯერ ტყის ექსპლუატაციაზე ვმუშაობდი, ახლა მის დაცვასა და გაშენებაზე ვზრუნავ. მარტო შარშან და წლეულს მილიონამდე ძირი ნერგი დავრგეთ და ვახარეთ.

— პიონერები და მოსწავლეები თუ გეხმარებიან ნერგების დარგვაში, ტყის მოვლისა და დაცვის საქმეში?

— რაიონის 29 სკოლაში შექმნილია „სასკოლო სატყეოები“, რომლებშიც გაერთიანებულია 1500-ზე მეტი მოსწავლე. პიონერები და მოსწავლეები მეტად სასარგებლო მუშაობას ეწევიან. ისინი შემოდგომასა და გაზაფხულზე ათასობით ნერგს რგავენ, უვლიან და ახარებენ. თავი გამოიჩინა ახმეტის მეორე საშუალო სკოლის სატყეომ, რომლის უფროსია მეცხრე კლასის მოსწავლე მანანა იმედაშვილი. ასევე კარგად მუშაობენ აწყურისა და მატნის საშუალო სკოლების „სასკოლო სატყეოები“. შარშან, დეკემბრის დამლევს, მატნის საშუალო სკოლის „სასკოლო სატყეომ“, რომელსაც მეცხრე კლასელი ზაზა ჭუნიაშვილი ხელმძღვანელობს, მორიგეობა დააწესა ნაძვებთან, რათა საახალწლოდ არ მოეჭრათ. მათ ბევრი ხე იხსნეს ბრაკონიერის ცულისაგან. დუისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კი სოფელში ჩამოვარდნილი, მონადირეების მიერ დაჭრილი შველი შეიფარეს, ორი კვირა უმკურნალეს, გამოაჯანმრთელეს და მერე ისევ ტყეში გაუშვეს. ასე რომ, ნორჩი მეტყევეები ჩვენ ყოველთვის გვერდში გვიდგანან და გვეხმარებიან.

— უკვე ოცდაორი წელიწადია, მეტყევედ მუშაობთ, რა სიამოვნებას განიჭებთ თქვენი პროფესია?



მუყაითი შრომის შემდეგ დასვენებასაც სხვა გემო აქვს.

[illegible] წარმოგიდგენიათ, რომელიმე ტრიბუნაზე გამოსული ნიკო მუსხელიშვილი ან ვიქტორ კუპრაძე, ან აწ განსვენებული ივანე ბერიტაშვილი, რომელიც იტყოდა: „ის, რაც მე გავაკეთე ქართული მეცნიერებისათვის, განუზომლად დიდია“. თუმცა ეს თავისთავად მართალი იქნებოდა, მაგრამ იქნებოდა თუ არა ეთიკური?

ერთხელ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან ვიყავი სარედაქციო საქმეზე. წამდაუწუმ რეკავდა ტელეფონი, შედიოდნენ და გამოდიოდნენ მოქალაქეები, საკითხებს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვდა, თავმჯდომარე ცალკე ქაღალდზე იწერდა.

ერთი მოქალაქე მორიდებით შეჩერდა კართან.

— გისმენთ! — დააჩქარა თავმჯდომარემ საუბრის დაწყება.

— მე აკაკი შანიძის მეზობელი ვარ, — თქვა მომსვლელმა და შეჩერდა.

გამეღიმა. გამახსენდა ერთი პატარა ეპიზოდი გალაკტიონის ცხოვრებიდან, რომელიც ქუთაისში მიამბო მხატვარმა მიზანდარმა.

თურმე სახელოვან მოქანდაკე ი. ნიკოლაძესთან მივიდა გალაკტიონი. იქ იმ დროს სტუმრად ყოფილა ერთი ცნობილი ქართველი მეცნიერის და, რომელიც ძალზე იკვეხნიდა თავისი ძმის სახელით, რაც, როგორც ჩანს, ზოგზე საჭირო ეფექტს ახდენდა კიდეც. ამ მანდილოსანმა ჩვეულებას ახლაც არ უღალატა. მოხდენილად გაუწოდა ხელი მგოსანს და გაეცნო: „პროფესორ-ს და“.

— ფილიპე მახარაძის მეზობელი! — უპასუხია პოეტს და გამოწვდილი ხელი ელეგანტურად ჩამოურთმევია მანდილოსნისათვის.

მაგრამ აკაკი შანიძის მეზობელი არ ცდილა თავისთვის გამოეყენებინა პროფესორის ავტორიტეტი.

— შანიძის ბინაში წყალი ჩადის, აუცილებელია ჭერის შეკეთება, — თქვა მან.

— კი მაგრამ, — შეწუხდა თავმჯდომარე, — ბატონმა აკაკიმ რატომ არაფერი გაგვაგებინა, მაშინვე გავუკეთებდით.

— ის არასოდეს არ შეგაწუხებთ, ერიდება, არც ჩემს ვიზიტზე არაფერი იცის, — თქვა სტუმარმა, პროფესორის მისამართი დატოვა და წავიდა.

ზომები დაუყოვნებლივ მიიღეს...

ახლა იკითხავთ, რატომ არის საჭირო საკუთარ ინტერესთა შეზღუდვა თავმდაბლობისათვის? ხომ არ არის აქ სამართლიანობის დარღვევა? არა, არ არის. კომუნისტური ზნეობა თავმდაბლობას მოითხოვს, სამართლიანობის არა დარღვევის, არამედ სწორედ მისი დაცვისათვის.

ხოლო თვითშეზღუდვის ზნეობრივი გრძნობა დროთა განმავლობაში იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ ადამიანი ხშირად ცდება უფლებებისა და ინტერესების შეფასებაში. თავისი გაკეთებული მეტი ჰგონია (გაიხსენეთ ჯერომ ჯერომის „სამნი ერთ ნავში“, სადაც სამივე პერსონაჟს ეჩვენება, რომ თვითონ მუშაობს, წელს იწყვეტს, სხვები კი მხართეძოზე არიან წამოწოლილი, რომ ყველაზე მძიმე სამუშაო სწორედ მას ხვდება, სხვები კი არხეინად არიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უდიდესს! მე მევალება ვემსახურო ეროვნული საუნჯის — ტყის დაცვას, მის მოვლა-პატრონობას, ხელოვნური ტყეების გაშენებას; მევალება კონტროლი გავუწიო ტყის ექსპლუატაციის წესებისა და კანონების დაცვას. თვით იმის შეგნება, რომ ქომაგი ვარ წყალში თევზთა და ტყეში ნადირ-ფრინველთა, უდიდეს სიამოვნებას მგვრის.

— და, ბოლოს, ტრადიციული შეკითხვა: — ახლა რომ თოთხმეტი წლისა იყოთ, როგორ წარმართავდით თქვენს ცხოვრებას, უფრო სწორად, რა გზას აირჩევდით?

— თოთხმეტი წლისა კი არა, რვა წლისაც რომ ვიყო, ვირბენდი იმავე ბილიკებზე, რომელზეც ფეხშიშველას მირბენია, მეოცნებე თვალებს ისევ გავაყოლებდი ალეკა გოგოჭურს და ვინატრებდი, რომ გავიზრდები, მეტყევე გამოვალ-მეთქი, ვისწავლიდი იმავე სკოლაში, დავჯდებოდი იმავე მერხზე, ისევ მარტოკა მივადგებოდი ცხოვრების გზაჯვარედინს, კვლავ მეტყევის პროფესიას ავირჩევდი, მთელი მონდომებით ვისწავლიდი, კვლავ განვაგრძობდი სწავლას ასპირანტურაში, მაგრამ დისერტაციის დაცვას აღარ დავაგვიანებდი. ისევ ტყეში დავიწყებდი მუშაობას უბნის უფროსად, მთავარ ინჟინრად და, თუ სატყეო მეურნეობის დირექტორად დამაწინაურებდნენ, არც ამაზე ვიტყოდი უარს. ეს იმიტომ, რომ ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს.

1973



მასწავლებელი და მოსწავლე — ზაქრო არაბული და მანანა იმედაშვილი.

ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, ზაქრო არაბული ისეთი სიყვარულით ლაპარაკობდა ტყეზე, ბუნებაზე, მის სიკეთეზე, კაცს გაფიქრებინებდა, რატომ მეც ეს პროფესია არ ავირჩიეო. საუბრის დროს ფეხით შემოვიარეთ ის ველიც და მისი ახლომახლო მიდამოც. დავტკბით, ვისიამოვნეთ და შებინდების ჟამს ტყეს ისე გამოვემშვიდობეთ, როგორც კარგ მასპინძელს.

გონიერი, კულტურული, თავმდაბალი ადამიანი ცდილობს ნაკლებად შეაფასოს თავისი, ხოლო მეტად სხვისი, რადგან სხვას რომ არ დააკლო, სჯობს გადაამეტო. ჩემი თავი რომ არ გადავაფასო, სჯობს ნაკლებად შევაფასო. შეცდომისაგან დავიზღვევ თავს და სიკეთესაც ვიზამ.

ეთიკოსები გვასწავლიან, რომ თავმდაბლობის სათნოება უფრო მნიშვნელოვანი სათნოების — სიკეთის ქმედების მინიმალური ზღვარია. თავმდაბლობა ისევე ემიჯნება სიკეთეს, როგორც არათავმდაბლობა ბოროტებას. ხოლო ნამდვილად დიდი ადამიანი მარტო იმიტომ კი არ არის თავმდაბალი, რომ იცის ამ სათნოების აუცილებლობა, არამედ მან უფრო იცის თავისი ცოდნის შეზღუდულობა ან რაიმე ნაკლი.

თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ ძველი დროის ერთი სახელგანთქმული ფილოსოფოსის ცნობილი გამოთქმა: ,,მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო''. ალბათ იმასაც ხვდებით, რა ბევრი უნდა იცოდეს ადამიანმა, რომ ისიც კი იცოდეს, რა არ იცის.

,,როცა ადამიანი გრძნობს თავისი ცოდნის შეზღუდულობას, — ასწავლიდა ლენინი ახალგაზრდებს კომკავშირის III ყრილობაზე, — ეცდება მეტი იცოდეს. მაგრამ თუ ადამიანი თავის თავს ყოვლისმცოდნედ წარმოიდგენს და ამით იყოყოჩებს, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა''.

ქედმაღლობა, ამპარტავნობა განსაკუთრებით მიუღებელია კომუნისტის, კომკავშირელის, პიონერისათვის.

აი რა უნდა გავიხსენოთ და გავწითლდეთ, როცა ვამბობთ: ,,მე უკეთესად ვსწავლობ, ნიშანს კი სხვას უწერენ. მე უკეთ ვთამაშობ, საქალაქო გუნდში კი ჩემი ამხანაგი ჩარიცხეს. ჯილდო მე მეკუთვნოდა, სხვას მისცეს'', — რასაც ხშირად გვწერენ რედაქციაში მოსწავლეები. არსებობს თავმდაბლობის საპირისპირო ცნება, რომელსაც ქართულად შესანიშნავად მორგებული სახელი ჰქვია ,,თავხედი'', ე. ი. კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავს ხედავს. არსად, არც ერთ საზოგადოებაში სიმპათიითა და სიყვარულით არ სარგებლობდა პიროვნება, რომელიც თვითონვე აყენებდა თავს დიდების კვარცხლბეკზე.

კვარცხლბეკი სხვამ უნდა აღგიმართოს, დიდების გვირგვინი სხვამ უნდა დაგადგას. შენ რომ შენი თავი გიყვარდეს და აფასებდე, ცოტაა. საქმე ის არის, სხვას უყვარდე, სხვა გაფასებდეს

მოუსმინე, რას ამბობენ დიდი ადამიანები: ,,ადამიანებს შორის კარგად რომ იცხოვრო, მარტო შენთვის არ უნდა ცხოვრობდე''. (სტენდალი).

,,ძალიან ადვილია თავი დიდ ადამიანად ჩათვალო, თუ ტვინი იმით კი არ გაქვს დამძიმებული, რომ ოდესღაც ქვეყნად ცხოვრობდნენ რემბრანტი, ბეთჰოვენი, დანტე და ნაპოლეონი'' (ცვაიგი).

გახსოვდეს, რომ ეს სია დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ოჰ, რა უკვდავი სახელები შეიძლება მასში შევიტანოთ: რამდენი გენია, რამდენი უჭკნობი სილამაზე, რამდენი გმირი.

გაიხსენე ეს, სანამ წარმოთქვამდე ერთი შეხედვით უწყინარ ნაცვალსახელს ,,მე''.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახ. ...

# თუკი მოინდომებს!

**დოდო ვადაჭკორია**

თქვენი წერილები წავიკითხე, ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. რასაკვირველია, თამაზი კარგი ბიჭია, ხუთებზეც იმიტომ სწავლობს. კარგი ნიშნის მიღებას, თქვენც კარგად იცით, დიდი მუშაობა უნდა.

თქვენგან გავიგე, თამაზს მოუხერხებია ერთხელ მაინც ენახა ავადმყოფი მეგობარი. ეტყობა, დედამ მერე აღარ გამოუშვა.

მშობლის დამჯერე შვილს აბა რა სჯობს, ხომ გაგიგონიათ — „დედის წინ მოხტუნავე კვიცი მგელმა შეჭამაო!“ მაგრამ დედაშვილობა გონივრული უნდა იყოს და შეხმატკბილებული, თორემ ისე რაღა დედაშვილობაა. განსაცდელში მყოფი მეგობრის მიტოვება, დედამაც რომ გიბრძანოთ, მაინც ვერ უნდა შეძლოთ.

მახსოვს, ჩვენს კლასში ბევრი ხუთოსანი გვყავდა, დანარჩენებიც კარგად ვსწავლობდით და ძალზე ბევრს ვკითხულობდით. თეატრებში პრემიერებზე დავდიოდით, ხერე ვაწყობდით გარჩევებს, ვკამათობდით, ვოცნებობდით. ჩვენი საყვარელი გმირები გვყავდა და ვცდილობდით მათ დავმსგავსებოდით.

ერთი ჩვენი კლასელი განსაკუთრებით კარგად სწავლობდა, მაგრამ ჩვენ მისი სახლის კარი არ ვიცოდით და მან — ჩვენი. არც ერთი ჩვენგანისათვის დაბადების დღე, ახალი წელიწადი, შვიდი ნოემბერი და პირველი მაისი არასოდეს მოულოცავს.

გაზაფხულდებოდა, აყვავდებოდა ნარიყალა და მთაწმინდა. იწყებოდა ჩვენი ლაშქრობები, ცოცხალი, სახელდახელო კედლის გაზეთების გამოშვება, ჯართის შეგროვება, შაბათობები სკოლის ეზოში და კიდევ, ვინ მოთვლის, რა, მაგრამ ჩვენი ამხანაგი ერთხელაც არ გარევია ჩვენს საქმეს.

ერთხელ თამაზის დედასავით გამოაცხადა დედამისმა: — ჩემს შვილს ნუ ეძახით, იგი სწავლისათვის არის გაჩენილი და არა ხეტიალისათვისო.

გავიდა დრო, იმ ამხანაგს მამა დაეღუპა. მამით ძალიან ამაყობდა. მთელი კლასი მივადექით მის ღია კარს. არ ვიცი, რატომ, შეიძლება დედამისისა შეგვეშინდა, კარის ზღურბლთან შევჩერდით. უეცრად, რას ვხედავთ, ბიჭი ფეხზე წამოიჭრა, ხელები გაშალა და სირბილით გამოქანდა ჩვენკენ, ვინც წინ იდგა, თითქოს ბოდიშს იხდისო, ჩაეკრა და აზლუქუნდა.

მთელი კლასი ვტიროდით მასთან ერთად. გაოცებისა და მწუხარებისაგან ხმა ვერ ამოიღო დედამისმა და ცუდადაც კი გახდა.

მეორე დღეს მთელი კლასი მოუმზადებელი მივედით სკოლაში, მაგრამ გვაპატიეს. კლასის ხელმძღვანელმა, როგორც იცოდა ხოლმე, ჩუმი ხმით გვითხრა — გაკვეთილების სწავლას მუდამ მოასწრებენ ისეთი მოსიყვარულე გულის ბავშვები, როგორიც თქვენ მყავხართო.

ამის შემდეგ ჩვენი ამხანაგი დღენიადაგ ჩვენთან იყო.

სკოლამ სასპორტო მოედნის გაკეთება განიზრახა. მაღალი გალავნის შემოვლება იყო საჭირო. აგურს მანქანებით ეზიდებოდნენ. ჩვენმა მეგობარმა იმ დღეს ყველაზე მეტი აგური შემოზიდა ეზოში.

თურმე ნუ იტყვით, შესანიშნავად ხატავდა. ამიტომ კედლის გაზეთის რედკოლეგიაში შევიყვანეთ და ჩვენისთანა გაფორმებული გაზეთი მთელ სკოლაში არავის ჰქონდა. პიონერთა ორგანიზაციის ოთახიც მან გააფორმა და ისეთი საორგანიზაციო კუთხე გაგვიკეთა, სხვა სკოლებიდანაც მოდიოდნენ სანახავად.

თვითონ უნდა გენახათ, როგორი ბედნიერი იყო და კმაყოფილი საკუთარი საქმიანობით.

ჩვენი მეგობრის დედა თავს გვევლებოდა, ორმაგად ცდილობდა დანაშაული გამოესყიდა ჩვენთან, თუ შვილთან. განა ცუდი ქალი იყო! შეცდა, შეცდომის გამოსწორება კი ყველას შეუძლია, თუკი მოინდომებს, შვილის სიყვარულით დაბრმავებული თავის საქციელს ანგარიშს გაუწევს და ზომიერებას არ დაკარგავს, რითაც უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენებს სკოლის კოლექტივს, საკუთარ თავს, და, რაც მთავარია, საკუთარ შვილს.

# განა მარტო სწავლა კმარა?

წავიკითხე თამაზის ამბავი. იგი, მართალია, ხუთოსანია, მაგრამ ავიწყდება, რომ პიონერია. პიონერი ხომ მოწინავე უნდა იყოს სწავლაში, შრომაში, სპორტში? თამაზი კი იმით ამაყობს, რომ ხუთოსანია, ყოველთვის რაღაცას იმიზეზებს იმის გამო, რომ მონაწილეობა არ მიიღოს პიონერულ საქმიანობაში.

ჩვენი რაზმეულის პიონერებმა 2 ტონაზე მეტი ლითონის ნამსხვრევი შევაგროვეთ. მაშასადამე, ის უნდა ვიფიქროთ, რომ რაზმეულში მხოლოდ ჩამორჩენილი პიონერები არიან? პირიქით, რაზმეულში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი პიონერი.

თამაზი ცუდი ბიჭია, რადგან, როდესაც მისი თანაკლასელები ავადმყოფ ამხანაგთან დადიოდნენ, ეხმარებოდნენ, რომ არ ჩამორჩენილიყო სწავლაში, თამაზი მხოლოდ ერთხელ მივიდა და მაშინაც მოიმიზეზა: მეჩქარება, გაკვეთილები უნდა ვისწავლოო. განა სხვებს არ ჰქონდათ გაკვეთილები სასწავლი? ჰქონდათ, მაგრამ პირველად მაინც ამხანაგს დაეხმარნენ.

კიდევ უფრო ცუდია თამაზის დედა, რომელიც ამაყობს, რომ შვილი ხუთოსანი ჰყავს. მას მიაჩნია, რომ მისმა შვილმა მხოლოდ უნდა ისწავლოს და სხვამ იშრომოს.

არა მჯერა, რომ თამაზი ბედნიერია. მხოლოდ და მხოლოდ სწავლა მას ბედნიერებას არ მოუტანს. აბა როგორ უნდა იყოს ის ბედნიერი, როცა თავისი ამხანაგებისაგან განდგომილია?

ჩვენს ქვეყანაში დღეს ბევრია ხუთოსანი ბავშვი და ყველა მათგანმა თამაზივით რომ აიღოს ხელი პიონერულ საქმიანობაზე, შრომაზე, მაშინ რა გამოვა?

**ნანა კვერენჩხილაძე,**

ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №16

# ძვირფასო რედაქციავ!

ჟურნალ „პიონერის მეოთხე ნომერში წავიკითხე წერილი, რომელსაც რაზმის დავალებით ხელს აწერენ პიონერები. ამ წერილმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. თამაზი რომ ხუთოსანია, ეს მისაბაძი და სამაგალითოა. მაგრამ როცა ის დაამთავრებს უმაღლესს, მან ხომ ადამიანებთან უნდა იმუშაოს? თუ არ ეცოდინება ადამიანის დაფასება, პატივისცემა და ადამიანებთან საერთოს ვერ იპოვის, არასოდეს იქნება კარგი ხელმძღვანელი.

ჩემი აზრით, თამაზის დედა დიდ დანაშაულს ჩადის, რომ არ აჩვევს შვილს დააფასოს ამხანაგი და გაჭირვების დროს დაეხმაროს მას. თამაზის შეფასებაში პატივცემული მასწავლებლებიც ცდებიან, რადგანაც სანიმუშო შეფასებას აძლევენ. მოსწავლე, რომელიც არ შეასრულებს საზოგადოებრივ დავალებას, თუნდაც ლითონის ნამსხვრევის შეგროვება იყოს, საიდან იქნება სანიმუშო?

ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია.

ანა ბილიხოძე,

ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე

•

ჟურნალ ,,პიონერის" მე-4 ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც რაზმის დავალებით რამდენიმე პიონერი აწერდა ხელს, მართლაც რომ დამაფიქრებელი იყო. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა ხშირად ხდება ჩვენს ირგვლივაც, მაგრამ ყოველთვის ეს უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. ჩვენს კლასში არიან მოსწავლეები, რომელთაც სურთ თავი აარიდონ საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ მათ საკითხს კლასის დამრიგებელთან ერთად ვიხილავთ და მკაცრად ვსჯით, ასეთი დასჯის შემდეგ კი ვეღარავინ ბედავს მონაწილეობა არ მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ძვირფასო ბავშვებო, თქვენ კარგად მოიქეცით, რომ ეს ფაქტი სააშკარაოზე გამოიტანეთ. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბევრი თამაზი და თამაზის დედის მსგავსი მშობელი დაუკვირდება თავის შეცდომას და დაიმახსოვრებს, რომ მოსწავლე უნდა იყოს ფრიადოსანი როგორც სწავლაში, ისე შრომაშიც, და რაც მთავარია, კარგი ამხანაგი.

მაია საათაშვილი,

სვენეთის საშუალო სკოლის № 4 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

•

ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელიც დაწერილი იყო რაზმის დავალებით და მოგვითხრობდა ფრიადოსან მოსწავლე თამაზზე, ცხადია, მრავალი ჩემი თანატოლი ჩააფიქრა. მსურს ჩემი აზრი გავუზიარო თანატოლებს.

ამ წერილის წაკითხვისთანავე თვალწინ წარმომიდგა ჩემი თანაკლასელი ბიჭი ირაკლი. ირაკლი ცუდად სწავლობს, ხშირად იღებს დაბალ ნიშნებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კლასში მაინც ყველა მოსწავლეს ძალიან გვიყვარს.

რა ვუყოთ, რომ ირაკლი ვერ სწავლობს, სამაგიეროდ, იგი ბუნებას დაუჯილდოებია კეთილი გულითა და ხასიათით. მას ყველა უყვარს, არ იცის ამხანაგების გამორჩევა და ყველასთან მეგობრულად არის.

ჩვენს კლასში რომ თამაზისნაირი ბავშვი ყოფილიყო, ჩვენ მაინც მას ირაკლის ვამჯობინებდით და ირაკლის უფრო მეტად დავაფასებდით.

ამ ორი სხვადასხვა ბუნების ბავშვისაგან დადგება ორი სხვადასხვა ადამიანი: პირველი — ნასწავლი, მაგრამ ამაყი და თავკერძა. ხოლო მეორე — ნაკლებად განსწავლული, მაგრამ კეთილი და ყველას მოსიყვარულე.

მაია ბრეგვაძე,

ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის მე-8 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

## ჩვენი შემოქმედება

# ბუნება ჩემი მეგობარია

ზღაპრული მთები, თოვლიანი ყინვარები, ამწვანებული მდელოები, შრიალა ტყე, ვარდ-ყვავილები, ჩუხჩუხა ნაკადულები, მდინარეები და ტბები, ბუტბუტა მტკვარი, მწვანე ტირიფები — ყოველივე ეს ჩვენი სამშობლოს სილამაზეა. ბუნებას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, ვიბრძოლოთ ბრაკონიერების წინააღმდეგ, სასტიკად დავსაჯოთ ყველა, ვინც კი ბუნებას სილამაზეს ართმევს. ბუნება ჩვენი სიცოცხლის ნაწილია.

ხშირად მინახავს ტყეში ლამაზ, ტოტებგაშლილ ხეზე ამოჭრილი გვარები და სახელები. რა საჭიროა ყოველივე ეს? ამით ხომ სიცოცხლეს უსპობენ ახალგაზრდა ხეს!

ძალიან მიყვარს ბუნება. ვუფრთხილდები მას. მეხუთე მეორე კლასის პიონერებთან ხშირად ვაწყობ საუბარს თემაზე — ,,ბუნება ჩემი მეგობარია".

ყველა მეხუთეკლასელი პიონერი და მათთან ერთად მეც გაზაფხულზე ვრგავთ სხვადასხვა ნერგებს და ვუვლით ნამდვილი მეგობრებივით.

ნანა მუკბანიანი,

თბილისის 153-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. VIII კლასის მოსწავლე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჩემი ოჯახი და ცხოველები

ჯერალდ დარელი

მხატვარი თ. ხუციშვილი.

ჯერალდ დარელი ცნობილი ინგლისელი ზოოლოგი და მწერალია. მისი წიგნები მოგვითხრობს ჩვენი დედამიწის სხვადასხვა კუთხის ცხოველებზე, ფრინველებსა და, საერთოდ, ბუნებაზე. სამწუხაროდ, ჯერალდ დარელის სახელს ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს. მისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებიდან თარგმნილია მხოლოდ ერთი — „მთვრალ ტყეში“. ახლა კი გამოსაცემად მზადდება დარელის მეორე წიგნი—„ჩემი ოჯახი და ცხოველები“. ამ წიგნში ავტორი იხსენებს ბავშვობას, იმ დროს, როდესაც იგი თავის ოჯახთან ერთად საბერძნეთის კუნძულ კორფუზე ცხოვრობდა, სადაც პირველად იგრძნო გარესამყაროს სილამაზე და გაუჩნდა სურვილი მისი შესწავლისა. საოცარი, გადამდები სიყვარულით აღწერს იგი ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს, ქვეწარმავლებს და გვაჯერებს, რომ ბუნებას რაც შეუქმნია, ყველაფერში შეიძლება სილამაზე დაინახო. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის მსუბუქი იუმორი, რომლითაც ლაპარაკობს ავტორი თავის ოჯახის წევრებზე და, რომლის წყალობითაც წიგნი სასიამოვნოდ, ხალისიანად იკითხება.

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

## ხოჭოებიანი კაცი

დილით, როცა ვიღვიძებდი, ჩემი ოთახის დარაბები ამომავალი მზისგან ოქროსფერ ზოლებად კაშკაშებდა. დილის ჰაერი გაჟღენთილი იყო სამზარეულოს კვამლის სუნით, მამლების გულმოდგინე ყივილით, ძაღლების შორეული ყეფითა და საძოვრებისკენ გადენილი თხის არვეების ეჟვანთა სევდიანი წკარუნით.

საუზმეს გარეთ, ბაღში შევექცეოდით, მანდარინის დაბალი ხეების ჩრდილში. ცა ამ დროს გრილი და კამკამა იყო, რძისფერი ოპალივით კრიალებდა, შუადღის მძაფრი სილურჯე ჯერ არ მორეოდა. ახლად გაღვიძებული ყვავილები მთლად არ გამოფხიზლებულიყვნენ, ვარდებზე ნამსხვრევებივით ეყარა დილის ცვარი, გულყვითელებს ისევ მჭიდროდ მოეკუმათ პირი. საუზმეს დინჯად და უხმაუროდ შევექცეოდით ხოლმე, რადგან დილაადრიან ლაპარაკის საღერღელი ჯერ არ აგვშლოდა. საუზმის ბოლოს ყავის, კვერცხისა და კარაქში გაფიცხებული პურის ზეგავლენა თავს იჩენდა და თანდათან ვცოცხლდებოდით, ყველა სათითაოდ ჰყვებოდა, რა უნდა ექეთებინა იმ დღეს და რატომ უნდა ექეთებინა. შემდეგ კი საქმიანად მსჯელობდნენ იმის გამო, თუ რამდენად გონივრული იყო თითოეულის გადაწყვეტილება. მე არასოდეს არ ვმონაწილეობდი ამ საუბრებში, რადგან მშვენივრად ვიცოდი, რაც უნდა მექეთებინა, და ვცდილობდი, რაც შეიძლება სწრაფად გამეთავებინა საუზმე.

— უთუოდ უნდა დაიხრჩო? — მკითხავდა ლარი გაბრაზებული ხმით, თან ასანთის ღერით მოხერხებულად იჩიჩქნიდა კბილებს.

— დინჯად ჭამე, შვილო, — წყნარად მეტყოდა დედაჩემი, — რა გეჩქარება?

„რა მეჩქარება? მაშ ვის უცდის როჯერი ბაღის კარებთან, ვის მოელიან მოუთმენლად ამ მოუსვენარი, შავი არსების თაფლისფერი თვალები? რა მეჩქარება? მაშ ვისთვის აწყობენ თავიანთ ჭიანურებს ზეთისხილის ხეებზე მთვლემარე ჭრიჭინობელები? ვის ელოდება დილის სიგრილეში ვარსკვლავივით გაბრწყინებული კუნძული?“ — მე არ მოველოდი, რომ ჩვენები გამიგებდნენ, ამიტომ, სანამ მათ ყურადღებას სხვა რამე მიიპყრობდა, ჭამას შევანელებდი, მერე კი დროს ვიხელთებდი და ისევ გამოვიტენიდი პირს.

ბოლოს და ბოლოს მოვრჩებოდი, წამოვხტებოდი და ჭიშკრისკენ გავიძურწებოდი. კარებში ჩაცუცქებული როჯერი კითხვაჩამდგარი თვალებით მომჩერებოდა. ორივენი თუჯის კარს მივადგებოდით და ზეთისხილის კორომებს მივაპყრობდით მზერას. მერე როჯერს გადავხედავდი და ვეტყოდი, იქნებ არა ღირს დღეს წასვლა-მეთქი. იგი უარის ნიშნად სასწრაფოდ კუდის ნარჩენს გააქიცინებდა და დრუნჩს ხელზე მომადებდა. არა, ვეტყოდი, დღეს მართლა არა ვფიქრობ არსად წასვლას, წვიმას აპირებს... და შეწუხებული სახით ავხედავდი მოწმენდილ-მოკრიალებულ ცას. ყურებდაცქვეტილი როჯერიც შეათვალიერებდა ცას და შემდეგ მუდარით მომაცქერდებოდა. მე ისევ ჩემსას ვაგრძელებდი, თუ ახლა არ იწვიმებს, მოგვიანებით მაინც უთუოდ გაწვიმდება, ამიტომ სჯობს ბაღში ვიჯდე და წიგნი ვიკითხო. სასოწარკვეთილი როჯერი უშველებელ შავ თათს ჭიშკარს გამოსდებდა და გამომხედავდა. მაამებელი ღიმილისაგან ზედა ტუჩი გვერდულად აეპრიხებოდა, თეთრ კბილებს გადმოყრიდა და აღელვებისაგან კუდის ნარჩენი აუთრთოლდებოდა. ეს მისი უკანასკნელი ხერხი იყო. იცოდა, მის სასაცილო ღიმილს ვერ ვუძლებდი. ახლა კი ვწყვეტდი მის გახელებას და ასანთის კოლოფებს და პეპლის საჭერ ბადეს გამოვარბენინებდი. ეზოს კარი ჭრიალით გაიღებოდა და ხმაურით მიჯახუნდებოდა. როჯერი ელ-

კის სისწრაფით შევარდებოდა ზეთისხილის კორომებში და ახალ დღეს ხმამაღალი ყეფით ეგებებოდა.

იმ დღეებში, როდესაც კუნძულს პირველად ვეცნობოდი, როჯერი ჩემი მუდმივი თანამგზავრი იყო. ჩვენ ერთად ვბედავდით კუნძულის სულ უფრო შორეული ადგილების დათვალიერებას, ვპოულობდით წყაროს, უდაბურ ზეთისხილის კორომებს, რომლებიც უნდა შეგვესწავლა და დაგვეხსომებინა. გზას მივიკვლევდით მურტის გაუვალ ბუჩქებში — შავი შაშვების საყვარელ ადგილებში, მივყვებოდით კვიპაროსების იდუმალი, მელნისფერი ჩრდილით დაბურულ, ვიწრო ხეობებს. როჯერი ჩემი საუკეთესო თანამგზავრი იყო — გადაუჭარბებლად მოსიყვარულე, მამაცი, და ამავე დროს მშვიდობისმოყვარე. გონიერი იყო და ჩემს ზოგიერთ ახირებას კეთილი, მხიარული მოთმინებით უძლებდა. თუ ნამიან ფერდობზე ფეხი დამიცურდებოდა, იგი უმალ ჩემთან გაჩნდებოდა თითქოს სიცილს იკავებსო, ისე წამის ჩრდილში მიეგდებოდა და თან ტანჯულის თვალებს არ მაშორებდა.

ასეთი ხეტიალის დროს მე და როჯერმა კუნძულის სხვადასხვა ადგილას უამრავი ხალხი გავიცანით. სხვათა შორის, გვხვდებოდა ერთი უცნაური, გონებაჩლუნგი ბიჭი, რომელსაც მრგვალი, ფშუტურა სოკოსავით უაზრო სახე ჰქონდა, ერთთავად დაგლეჯილი ხალათი და ლურჯი სარჟის მუხლებამდე აკარწახებული შარვალი ეცვა. თავზე ძველისძველი, ფარფლმოგლეჯილი ცილინდრი ეხურა. ეს ბიჭი თვალს მოგვკრავდა თუ არა, სწრაფად გამოივლიდა ზეთისხილის ხეებს შორის, თავის სულელურ ქუდს თავაზიანად მოიხდიდა და სალამურივით ტკბილი, ბავშვური ხმით მშვიდობის დღეს გვისურვებდა. ერთხანს იდგა, უაზროდ მოგვჩერებოდა და, რაც უნდა მეთქვა, ათ წუთს მაინც აკანტურებდა თავს, მერე ისევ მოიხდიდა ქუდს, მიტრიალდებოდა და ხეებს შორის გაუჩინარდებოდა. ზემოთ, მთაზე, ერთ პაწია მოფაქფალე-



ბულ სახლში საოცრად მსუქანი და მხიარული აგათი ცხოვრობდა. იგი ყოველთვის ეზოში იჯდა და ცხვრის მატყლისაგან თითისტარით უხეშ ძაფს ართავდა. ალბათ სამოცდაათს კარგა გადაცილებული იქნებოდა, მაგრამ თმა მაინც შავად უბზინავდა. ორი ფაქიზი ნაწნავი ძროხის წყვილ, გაპრიალებულ რქაზე დაეხვია — ეს მორთულობა ჯერ კიდევ შერჩენილია მოხუცი გლეხის ქალებს შორის. იგი უშველებელი შავი გომბეშოსავით იჯდა მზეში, ძროხის რქაზე ალისფერთავსაფარდაგრეხილი და მოქნილი თითებით ჩიკორივით აბზრიალებდა თითისტარს. მისი დანაოჭებული პირი კი ფართოდ იღებოდა და სითეთრედაკარგული კბილები მოუჩანდა — იგი მღეროდა ხმამაღლა, ხრინწიანად, მაგრამ დიდი მონდომებით.

სწორედ აგათისაგან ვისწავლე ყველაზე ლამაზი და გულშიჩამწვდომი ხალხური სიმღერები. ვიჯექი მზეში ძველი თუნუქის ქილაზე, მის ბაღში დაკრეფილ ყურძენ-

იფრუტუნებდა, სწრაფად თვალს შემავლებდა, თანაგრძნობის ნიშნად ამლოკავდა, ტანს შეიბერტყავდა, დაამცემინებდა და თავისებურად — გვერდულად გამიღიმებდა. თუ რაიმე საინტერესოს ვიპოვიდი — ან ჭიანჭველების ბუდეს, ან ფშალზე აცოცებულ მუხლუხს, ან ობობას, რომელიც ბუზს აბრეშუმის არტახებში ახვევდა, როჯერი ჩაცუცქდებოდა და მიცდიდა, სანამ დაკვირვებას არ მოვრჩებოდი. თუ მოეჩვენებოდა, რომ ძალიან დიდხანს დავყოვნდი, ახლოს გადმოინაცვლებდა, ჩუმად, საცოდავად დაიწკმუტუნებდა, ღრმად ამოიოხრებდა და კუდის ქიცინს მოჰყვებოდა. თუ უმნიშვნელო რამესთან ვიყავი შეჩერებული, მაშინვე გზას განვაგრძობდით, ხოლო თუ ნაპოვნი გულმოდგინე შესწავლას საჭიროებდა, როჯერს ერთს შევუბღვერდი და ის უკვე ხვდებოდა, რომ საქმე გაჭიანურდებოდა. ყურებს ჩამოყრიდა, კუდის ქიცინს შეწყვეტდა, ახლოს მდგომ ბუჩქთან მილასლასდებოდა,

სა და ბროწეულს შევექცეოდი და თან მასთან ერთად ვმღეროდი. ხანდახან შეჩერდებოდა და გამოთქმას მისწორებდა. ვმღეროდით მხიარულ, ხალისიან სიმღერას მდინარეზე, რომელიც მთებიდან მოჩუხჩუხებს და ბაღებსა და მინდვრებს აცოცხლებს, ხეხილს ნაყოფით ხუნძლავს. ვმღეროდით სასაცილო სიმღერას, რომელსაც „სიცრუე“ ერქვა, და თან ერთმანეთს გადაჭარბებული სიკეკლუციით ვუჟუჟუნებდით თვალებს.

— სიცრუე, სიცრუე, — ვარაკრაკებდით ხმას და თვალებს გადავიქნევ-გადმოვიქნევდით, — ყველგან სიცრუე, მაგრამ ჩემი ბრალია, მე გასწავლე სოფელ-სოფელ იარე და ყველას უთხარი, როგორ მიყვარხარ-მეთქი. შემდეგ სევდიან ჰანგებზე გადავიდოდით და ვმღეროდით ნელ, რიტმიან სიმღერას „რატომ მტოვებ?“. ეს სიმღერა ისე გაგვიტაცებდა ხოლმე, რომ დიდხანს გავკიოდით ათრთოლებული ხმებით მის მგრძნობიარე სიტყვებს. როდესაც უკანასკნელ, გულის გამგმირავ ადგილს მივაღწევდით, აგათი ხელებს უზარმაზარ მკერდში ჩაიკრავდა, თვალები დაენისლებოდა, შიგ სევდა ჩაუდგებოდა და მღელვარებისაგან ნიკაპი აუცახცახდებოდა. ბოლოს, როცა ჩვენი არც ისე ხმაშეწყობილი დუეტის უკანასკნელი ბგერებიც მიწყდებოდა, თავსაფრის ყურით ცხვირს მოიწმენდდა და მომიბრუნდებოდა:

— რა ბრიყვები ვართ, ჰა, რა ბრიყვები! ვზივართ მზისგულზე და ვმღერით. თანაც რაზე? სიყვარულზე! მე ძალზე ბებერი ვარ სასიყვარულოდ, შენ კი ძალზე პატარა და მაინც დროს ვკარგავთ და ვმღერით. აბა, კმარა! ახლა კი თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, ჰა?

აგათის გარდა, განსაკუთრებულად ერთი კაცი მომწონდა. ეს იყო მოხუცი მწყემსი იანი, მაღალი, მხრებში მოხრილი კაცი, რომელსაც დიდი, არწივივით მოკაუჭებული ცხვირი და წარმოუდგენლად გრძელი ულვაში ჰქონდა. პირველად მას ერთ ცხელ დღეს შევხვდი, როდესაც მე და როჯერმა მთელი საათი ვიწვალეთ და მაინც ვერ ამოვიყვანეთ დიდი მწვანე ხვლიკი ქვის კედელში მოთავსებულ სოროდან. ბოლოს გაწბილებულები, გაოფლილები და დაქანცულები მზით გადატრუსულ ბალახზე ხუთი პატარა კვიპაროსისაგან მკვეთრად დამჩნეულ ჩრდილში გავიშოტეთ. ვიწექი და ყურში ეჟვნების წყნარი, ძილისმომგვრელი წკრიალი ჩამესმოდა. მალე თხის არვეც გამოჩნდა. ჩვენს დანახვაზე თხები სათითაოდ ჩერდებოდნენ, ყვითელ, უაზრო თვალებს მოგვაპყრობდნენ, დამცინავად დაიკიკინებდნენ და გზას აგრძელებდნენ. ნეკერის ხრაშუნის ხმამ და ეჟვნების ნაზმა წკარუნმა ისე მომთენთა, არვემ რომ ჩაგვიარა და მწყემსი გამოჩნდა, უკვე თვლემა მერეოდა. მწყემსი შედგა, ზეთისხილის ტოტისაგან გამოთლილ ყავისფერ ჯოხს დაეყრდნო და დამხედა. წვრილი, შავი თვალები გაბურძგნულ წარბებქვეშიდან მრისხანედ იყურებოდნენ.



— გამარჯობა, — პირქუშად მომესალმა იგი. — შენ უცხოელი ხარ... პატარა ინგლისელი ლორდი?

იმხანად მე უკვე ვიცოდი, რომ იქაურ გლეხებს რატომღაც ყველა ინგლისელი ლორდი ეგონათ და დიახ-მეთქი, მივუგე. იგი მიბრუნდა, ზეთისხილის ნორჩ ხიზე ატორღიალებულ თხას შეუძახა და ისევ მე მომიბრუნდა.

— ერთ რამეს გეტყვი, პატარა ლორდო, — მომმართა მან, — საშიშია აქ წოლა, ამ ხეების ძირას.

მე კვიპაროსებს შევავლე თვალი, სახიფათო ვერაფერი შევნიშნე და ვკითხე, რატომ გგონიათ, რომ საშიშია-მეთქი.

— კვიპაროსის ძირას ჯდომა კარგია. მშვენიერი ჩრდილი იცის, წყაროს წყალივით გრილი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ადამიანს აძინებს. კვიპაროსის ძირას კი არასოდეს არ უნდა დაიძინო.

იგი შეჩერდა, ულვაშზე ხელი ჩამოისვა, შეიცადა, სანამ არ ვკითხავდი, როგორ-მეთქი, და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო:

— რატომ, რატომ! რატომ და იმიტომ, რომ თუ დაიძინებ, სხვა კაცად გადაიქცევი. დიახ, შავი კვიპაროსი საშიში ხეა. სანამ გძინავს, მისი ფესვები თავში შეგეზრდებიან და ტვინს ამოგწოვენ, გაიღვიძებ და უკვე გიჟი ხარ, თავი სასტვენივით ცარიელი გაქვს.

მე ვკითხე, ამას მხოლოდ კვიპაროსები სჩადიან თუ სხვა ხეებსაც იგივე შეუძლიათ-მეთქი?

— მხოლოდ კვიპაროსები, — მომიგო მოხუცმა და ჩვენს თავზე წამომდგარ ხეებს მრისხანედ ახედა, თითქოს უნდა გაეგო, უსმენდნენ თუ არა ისინი, — მხოლოდ კვიპაროსია გონების ქურდი. ჰოდა, გაფრთხილდი, პატარა ლორდო, აქ ნუ დაიძინებ.

მან ოდნავ დამიკრა თავი, ერთხელ კიდევ შეავლო მრისხანე მზერა კვიპაროსების მუქ ტოტებს, თითქოს მათგან განმარტებას მოელისო და ფრთხილად გაუყვა თავის გზას მურტის ბუჩქებს შორის იმ ფერდობისაკენ, სადაც გუდასტვირივით ჩამოკიდებული უშველებელჯიქნიანი თხები ბუჩქნარს შესეოდნენ.

შემდეგ იანის ძალიან დავუახლოვდი, რადგან ჩემი ექსკურსიების დროს ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხანდახან მის პატარა სახლს ვეწვეოდი, იგი ხილით მიმასპინძლდებოდა და თან რჩევა-დარიგებას მაძლევდა, რათა ხიფათს არ გადავყროდი.

მაგრამ, ალბათ ყველაზე უცნაური და მიმზიდველი პიროვნება მათ შორის, ვინც ჩემი მოგზაურობების დროს გავიცანი, ხოჭოებიანი კაცი იყო. ჯადოსნური ზღაპრის გმირსა ჰგავდა. ხშირად არა მხვდებოდა და შეხვედრებს ყოველთვის მოუთმენლად ველოდი. პირველად იგი ერთ-ერთი მთის სოფლისაკენ მიმავალ, უკაცრიელ გზაზე დავინახე, მაგრამ, ვიდრე დავინახავდი. ჯერ მისი ხმა მომესმა. მწყემსის სალამურზე მშვენიერ ჰანგს უკრავდა. დროდადრო დაკვრას წყვეტდა და რაღაც უცნაური, დაგუდული ხმით წაიმღერებდა. გზის მოსახვევში რომ გამოჩნდა, მე და როჯერი განცვიფრებულნი შევჩერდით და მივაშტერდით.

მელიასავით წვეტიანი სახე და დიდი, მუქი ყავისფერი, თითქმის შავი კილოებდაშვებული თვალები ჰქონდა. თვალებში რაღაც უცნაური, გაუგებარი გამომეტყველება ალბეჭდოდა და კატარაქტასავით გადაჰკვროდა ქლიავის მტვერივით სიფრიფანა, სადაფისებური ლიბრი. ის იყო დაბალი და სუსტი. წვრილი მაჯები და კისერი საკვების ნაკლებობაზე მეტყველებდა. ფანტასტიკური ტანსაცმელი ეცვა. უფორმო, ძალზე ფართო, ჩამოყრილფარფლებიანი ქუდი, ეტყობოდა, ერთ დროს მუქი მწვანე იქნებოდა, მაგრამ ახლა მტვრისაგან გამოხუნებული, ღვინით დალაქავებული და სიგარეტით ამომწვარი იყო. ქუდზე ბუმბულების მთელი ტყე ფარფატებდა: მამლის, ოფოფის, ქორისა, ბუსი, ალკუნის მთელი ფრთა, და კიდევ ერთი გრძელი, ჰუჰყიანი თეთრი ფრთა — ალბათ, გედისა. ხალათი გაცვეთილი, გადახეხილი და ოფლით გაპოხილი ეცვა, ხოლო კისერზე უშველებელი, საოცრად მყვირალა ლურჯი ატლასის ყელსახვევი უფრიალებდა. მუქ, ფორმადაკარგულ პიჯაკზე აქა-იქ სხვადასხვა ფერის საკერებლები ედო; სახელო ვარდისკოკრებიანი თეთრი ქსოვილით ჰქონდა დაკერებული, ხოლო მხარი თეთრწინწკლებიანი ღვინისფერი ნაჭრით. გატენილი ჯიბეებიდან ლამის გადმოსცვენოდა სხვადასხვა წვრილმანი: სავარცხლები, გასაბერი ბუშტები, ჭრელა-ჭრულად გაფერადებული პატარა ხატები, ზეთისხილის ხისაგან გამოთლილი გველები, აქლემები, ძაღლები და ცხენები, იაფფასიანი სარკეები, ხილაბანდების დასტა, მარცვლებით მორთული დაწნული კვერები. შარვალიც პიჯაკივით დაკერებული ეცვა. ტოტებს ქვემოთ შავ და თეთრ ბურთულებიანი ცხვირაპრეხილი ალისფერი ტყავის ფეხსაცმელი მოუჩანდა. ამ საოცარ კაცს ზურგზე მტრედებისა და პატარა წიწილებით სავსე ბამბუკის გალიები, რამდენიმე უცნაური პარკი და ახლადდაგლეჯილი ქორფა პრასის დიდი კონა ეკიდა. ცალი ხელით სალამური მოემარჯვებინა, მეორეში კი ძაფების ბღუჯა ეჭირა. ძაფების ბოლოებზე მზეზე ოქროსფერად მოელვარე ნუშისოდენა მწვანე ხოჭოები იყო გამობმული. ხოჭოები ხმამაღლა ზუზუნებდნენ და კაცის ქუდს გამწარებული დასტრიალებდნენ. ცდილობდნენ, თავი დაეხსნათ ტანზე მჭიდროდ შემოჭერილი ძაფისაგან. დროდადრო უაზრო ტრიალით დაღლილი ხოჭო წამით კაცს ქუდზე დააჯდებოდა და მერე ისევ მოჰყვებოდა უსასრულო ტრიალს.

ჩვენ რომ დაგვინახა, ხოჭოებიანი კაცი შეჩერდა, სახეზე გადაჭარბებული გაოცება გამოეხატა, თავისი სასაცილო ქუდი მოიშვლიპა და მდაბლად დაგვიკრა თავი. ამ მოულოდნელმა ყურადღებამ როჯერზე ისე იმოქმედა, რომ გაოცებულმა ყეფა შორთო. კაცმა გაგვიღიმა, ქუდი დაიხურა, ხელები მაღლა ასწია და გრძელი, გაძვალტყავებული თითები დამიქნია. უეცარი ხილვით გაოცებული და გამხიარულებული თავაზიანად მივესალმე. კაცმა ხელმეორედ დამიკრა თავი მდაბლად. მე ვკითხე, ალბათ დღესასწაულიდან მოდიხართ-მეთქი. თავი დამიქნია, სალამური ტუჩებთან მიიტანა და მხიარული სიმღერა ჩაჰბერა, თან მტვრიან გზაზე ერთი შეიკუნტრუშა და, რომ შეჩერდა, ცერი უკან დარჩენილი გზისკენ გაიქნია, იქიდან მოვდივარო. შემდეგ გამიღიმა, ხელები ჯიბეებზე მოითათუნა და სალოკი თითი და ცერი ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა, ამ მოძრაობით ბერძნები ფულს აღნიშნავენ. უცებ მივხვდი, რომ კაცი მუნჯი იყო. ერთხანს შუაგზაზე ვიდექით და ვსაუბრობდით — ცვალებადი და გონივრული პანტომიმით ყველაფერს მაგებინებდა. ვკითხე, რად გინდა ეს ხოჭოები, ძაფებზე რომ მიგიბამსმეთქი. ცალი ხელის მოძრაობით პატარა ბავშვი გამოხატა, მეორით კი ხოჭოზე გამობმული ძაფი დაიჭირა და თავს ზემოთ დაიტრიალა. მწერი უმალ გამოცოცხლდა და ქუდის ირგვლივ ტრიალს მოჰყვა. კაცმა გაბრწყინებული თვალები მომანათა, ცაზე მიმითითა, მკლავები გაშალა, ცხვირიდან ძლიერი, მოზუზუნე ხმა გამოუშვა, და გზაზე გაინავარდ-გამოინავარდა. სულელიც მიხვდებოდა, რომ ეს მოქმედება თვითმფრინავს აღნიშნავდა. შემდეგ ხოჭოებზე მაჩვენა, ცალი ხელით ისევ პატარა ბავშვები გამოხატა და ხოჭოების გუნდი თავს ზემოთ ისე დაიბზრიალა, რომ ყველანი გაღიზიანებული აზუზუნდნენ.

ახსნა-განმარტებით დაქანცული გზის პირას ჩამოჯდა და ისევ სალამური ააწკრიალა, დროდადრო დაკვრას წყვეტდა და თავისი უცნაური ცხვირისმიერი ხმით წაიღიღინებდა. სიტყვების ნაცვლად ხორხისმიერი დუდუნი და წრიპინი ამოსდიოდა პირიდან, მაგრამ ამ უცნაურ ბგერებს ისე ცოცხლად წარმოთქვამდა და თან სახის გამომეტყველებასაც ისე საოცრად იცვლიდა, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მათ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდათ. სიმღერას რომ მორჩა, სალამური გამოტენილ ჯიბეში ჩაიდო, დაფიქრებულმა შემომხედა, მხრიდან პატარა ტომარა გადმოიგდო, პირი მოუხსნა და, ჩემდა გასაკვირად და გასახარად, მტვრიან გზაზე ექვსიოდე კუ წამოყარა. მათი ბაკნები ზეთით იყო გაპრიალებული, ხოლო წინა თათებს, ვინ იცის, რა გაჭირვებით შებმული პატარა წითელი ბაფთები ამშვენებდა. მათ დინჯად, აუჩქარებლად გამოჰყვეს თავ-ფეხი პრიალა ბაკნებიდან და ზანტად, მაგრამ ბეჯითად დაადგნენ გზას. მოხიბლული ვუყურებდი. განსაკუთრებით ერთი კუ მომეწონა, სულ პატარა, ჩაის ფინჯანისოდენა იყო. იგი დანარჩენებზე ცოცხალი ჩანდა და უფრო ბაცი ფერი ჰქონდა — წაბლის, ქარვისა და დამწვარი შაქრისფერის ნარევი. თვალები უბრწყინავდა და რამდენადაც კუს შეუძლია, მკვირცხლად დადიოდა. კარგა ხანს დაფიქრებული ვუყურებდი, ვცდილობდი თავი დამერწმუნებინა, რომ ჩვენები კუს დიდი აღფრთოვანებით შეხვდებოდნენ და ალბათ მომილოცავდნენ კიდეც ამ მშვენიერ მონაპოვარს. ის ამბავი, ფული რომ არა მქონდა, ოდნავაც არ მაწუხებდა, რადგან კაცს უბრალოდ ვეტყოდი, რომ გასამრჯელოსათვის მეორე დღეს შინ გვწვეოდა. არც მიფიქრია, რომ იგი შესაძლოა არა მნდობოდა, ჩემი ინგლისელობა ამის საბაბს მაძლევდა —

ამ კუნძულის მცხოვრებნი ყველა ინგლისელს განურჩევლად პატივს სცემდნენ. ინგლისელს ისეთ რამეს ანდობდნენ, რაშიც ერთმანეთს არ ენდობოდნენ. ხოჭოებიან კაცს პატარა კუს ფასი ვკითხე. მან ორივე ხელი ასწია და თითები გაშალა. მაგრამ მე არასოდეს არ მენახა, რომ გლეხს შეუვაჭრებლად გადაეხადა ფული. ამიტომ მტკიცედ გავაქნიე თავი და ორი თითი ავწიე. უნებლიედ მასავით ხელებით ლაპარაკზე გადავედი. შეშფოთებულმა თვალები დახუჭა და ცხრა თითი ასწია, მე სამი ავწიე, მან თავი გააქნია, მცირე ხანს დაფიქრდა და ექვსი თითი მაჩვენა; მე პასუხად თავი გავაქნიე და ხუთი თითი დავანახე. ხოჭოებიანმა კაცმა ისევ გააქნია თავი და ღრმად, სევდიანად ამოიოხრა. უხმოდ ვისხედით და დავცქეროდით კუებს, რომლებიც სასაცილო, ჩვილი ბავშვის დაჟინებით, ძლივს მიფოფხავდნენ გზაზე. ცოტა ხნის შემდეგ ხოჭოებიანმა კაცმა პატარა კუზე მიმითითა და ისევ ასწია ექვსი თითი. მე თავი გავაქნიე და ხუთი ავწიე. როჯერმა ხმამაღლა დაამთქნარა; მოჰბეზრდა ეს უხმო ვაჭრობა. ხოჭოებიანმა კაცმა კი ხელში აიყვანა კუ და მაჩვენა, როგორი გლუვი და ლამაზი იყო მისი ბაკანი, როგორი შემართული თავი და წვეტიანი ბრჭყალები ჰქონდა. მე შეუვალი სახით ვიჯექი. კაცმა მხრები აიჩეჩა, კუ გამომიწოდა და ხუთი თითი ასწია.

ახლა კი ვუთხარი, ფული არა მაქვს, ხვალ ჩვენთან მოდი და მოგცემ-მეთქი. კაცმა ისე დამიქნია თავი, თითქოს სრულიად ჩვეულებრივი რამ მეთქვას. ერთი სული მქონდა, შინისკენ გავქცეულიყავი და ახალი შენაძენი ყველასათვის მეჩვენებინა. ამიტომ კაცს საჩქაროდ გამოვეთხოვე, მადლობა გადავუხადე და შინისკენ მოვუსვი. როდესაც იმ ადგილს მივაღწიე, სადაც ზეთისხილის ტყეში უნდა შევსულიყავი, შევჩერდი და ჩემი ნადავლი გულმოდგინედ დავათვალიერე. ასეთი მშვენიერი კუ ჯერ არ მენახა. ჩემი აზრით, ორჯერ იმაზე ძვირი ღირდა, რაც მე გადავიხადე. ქერცლოვან თავზე ხელი გადავუსვი და ფრთხილად ჩავისვი ჯიბეში. სანამ დაღმართზე დავეშვებოდი, უკან მივიხედე. ხოჭოებიანი კაცი ისევ იქ იდგა და რაღაც ჯიგის მსგავსს ცეკვავდა, ხან ახტებოდა, ხან აქეთ-იქით ირხეოდა, თანაც სალამურს ამღერებდა. მის ფეხებთან კი მტვრიან გზაზე კუები ირეოდნენ.

პატარა კუს მაშინვე შევურჩიეთ სახელი — აქილევსი დავარქვით. იგი საოცრად გონიერი და საყვარელი არსება გამოდგა. იშვიათი იუმორის გრძნობა ჰქონდა. პირველად ფეხით დავაბით ბაღში, მაგრამ როდესაც მოშინაურდა, თავის ნებაზე გავუშვით. თავისი სახელი ძალიან მალე დაიხსომა. საკმარისი იყო ერთხელ ან ორჯერ დაგვეძახა და ცოტახანს მოგვეცადა, უთუოდ გამოჩნდებოდა. ვიწრო, რიყისქვებდაგებულ ბილიკზე, საიდანაც გამობარბაცდებოდა ფეხისწვერებზე აწეული და ხარბად კისერწაგრძელებული. ძალიან უყვარდა, როცა ვინმე აჭმევდა და როცა სალათის ფოთლებს, ბაბუაწვერას, ან ყურძნის მარცვლებს ვაძლევდით, მზეში მეფურად მოკალათდებოდა. ყურძენი იმასაც ისე უყვარდა, როგორც როჯერს, და ამიტომ მათ შორის ქიშპობა ჩამოვარდა. როდესაც აქილევსი იჯდა და პირმოკუმული წოვდა ყურძნის მარცვლებს, როჯერი შორიახლოს იწვა, აღგზნებული თვალებით მისჩერებოდა კუს ნიკაპზე ჩამოღვრილ წვენს და ნერწყვი მოსდიოდა. როჯერს თავის წილს ყოველთვის ვაძლევდით, მაგრამ მაინც, მისი აზრით, კუსთვის ასეთი ნუგბარის გაფუჭება უაზრობა იყო. თუ თვალს მოვაშორებდი, მაშინვე აქილევსთან მირბენდა და გამალებული დაუწყებდა ლოკვას, რათა ნიკაპზე და კისერზე ჩამოღვრილი წვენით პირი ჩაეტკბარუნებინა. ასეთი სითამამით შეურაცხყოფილი აქილევსი როჯერს ცხვირში სწვდებოდა და, თუ ის თავის სველ ენას მაინც არ მოაშორებდა, განრისხებული სისინით ბაკანში შეიმალებოდა. სანამ როჯერს არ გავაგდებდით, თათსაც აღარ გამოჰყოფდა.

მაგრამ ყველაფერზე მეტად აქილევსს ტყის მარწყვი უყვარდა. თვალს მოჰკრავდა თუ არა, გადაირეოდა, აქეთ-იქით მიაწყდებოდა, კისერს მოიღრეცდა და პაწია ღილისოდენა თვალებს მუდარით მომაპყრობდა, უნდა მაჭამოს თუ არაო. წვრილ მუხუდოს მარცვლის სიმსხო მარწყვებს ერთბაშად ყლაპავდა, ხოლო თუ ცოტა მოზრდილ მარწყვს მივცემდით, მაგალითად, ტყის თხილისოდენას, მისი საქციელი კუს საქციელს არა ჰგავდა. მარწყვს პირში მოიქცევდა, აჩქარებული ბარბაცით ყვავილებში შევიდოდა, იქ საიმედო, განმარტოებულ ადგილს მოძებნიდა, მარწყვს დააგდებდა და დინჯად შეექცეოდა. ერთს რომ შეჭამდა, მეორისთვის დაბრუნდებოდა.

მარწყვის სიყვარულის გარდა, აქილევსი ადამიანებთან ყოფნის დიდ სურვილს ამჟღავნებდა. როგორც კი ვინმე ბაღში გავიდოდა მზის აბაზანების მისაღებად, ან წიგნის საკითხავად, ან სხვა რაიმე მიზნით, თურქული მიხაკის ფოთლები აშრიალდებოდა და იქიდან აქილევსის ნაოჭებიანი, სერიოზული სახე გამოჩნდებოდა. თუ სკამზე იჯექით, აქილევსი ფეხებთან ახლოს მოგიცოცდებოდათ და ღრმა, მშვიდ ძილს მიეცემოდა—თავი ჯავშნიდან გამოუვარდებოდა და ცხვირს მიწაზე დაადებდა. ხოლო თუ მზის აბაზანის მისაღებად ფარდაგზე იწექით, აქილევსი დარწმუნებული იყო, რომ მის გასართობად გორაობდით ძირს. მაშინვე ბილიკს დაადგებოდა, ფარდაგზე ამოვიდოდა და ბედნიერი სახით მოგაშტერდებოდათ, რათა აერჩია, სხეულის რომელ ნაწილზე აცოცებულიყო. ვერაფერი სიამოვნებაა, უეცრად თეძოში ბასრი ბრჭყალი რომ ჩაგესობათ და შემდეგ კი თქვენს მუცელზე დააპირებს აძვრომას. თუ მოიშორებდით და ფარდაგიანად ბაღის სხვა მხარეს გადაინაცვლებდით, აქილევსი არც იქ მოგასვენებდათ, ერთი ჯიუტად შემოუვლიდა ბაღს და მოგძებნიდათ. მისმა ამ ჩვეულებამ ჩვენებს ისე მოაბეზრა თავი, იმდენ საყვედურსა და მუქარას ვისმენდით, რომ როცა ვინმე ბაღში დასაწოლად გადიოდა, აქილევსს ვამწყვდევდით.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლეგენდა და ისტორია

ოთარ ჭყეშელაშვილი

მხატვარი კ. მახარაძე

## ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან

ქარბორბალა ამოვარდა მთებში. შეუმჩნევლად წამოიშალნენ ღრუბლები კავკასიონის მყინვარებიდან, ჯერ ნოტოებად, შემდეგ ცხვრის ფარასავით გაიშალნენ, ტყვიისფერი გადაიკრეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. შავი ღრუბელი ჩამოწვა ქალაქის თავზე.

გაზაფხულის პირველი თვე იდგა, მირკან-მარტი. ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი ქროდა, ძვალსა და რბილს ყინავდა. ქალაქში ცხოვრება ჩამკვდარიყო. ქარავნები აღარ ჩანდნენ, დუქნები და ბაზრებიც დაცარიელებულიყო, თითქოს ჭამა-სმისათვისაც აღარ ეცალა ხალხს. მეფის მალემსრბოლები თუ გაიელვებდნენ ზოგჯერ ქუჩებში.

დედაციხის სასახლის აივანზე იდგა მეფე გიორგი. ხალვათად ეცვა, მხოლოდ ძვირფასი ტყავ-კაბა ემოსა და სატევარი ეკიდა წელზე. ნაღვლიანად გასცქეროდა ჩრდილოეთიდან მომავალ ღრუბელთა ჯარს, ავისმომასწავებლად მიაჩნდა იგი.

ღრმა ფიქრს მისცემოდა გულხედაკრეფილი მეფე. დინჯად მიმოდიოდა აივანზე, სიცივისადმი უგრძნობი გაეხადა ფიქრს. საფიქრალი კი მართლაც ბევრი ჰქონდა.

იგონებდა, როგორ მოხერხებულად დაუსხლტა ხელიდან მამამისი, ბაგრატ მეფე სამარყანდელ სისხლისმსმელს, ლანგ-თემურს, როგორ ამოწყვიტეს თვითონ და მამამისმა, მცირერიცხოვანი ძალებით, ლანგის თორმეტათასიანი ლაშქარი, როგორ მოაოხრა ამის გამო გაბოროტებულმა თემურმა საქართველო, თუმცაღა სურვილი ვერ შეისრულა: არც ბაგრატი გაუხდა ყმად და არც გიორგი.

მაშინაც გაზაფხულის პირველი თვე იდგა, მირკან-მარტი, ,,ციოდა დიდად და მოწვიმდა და სთოვდა".

მიიცვალა ბაგრატ მეფე და სამარყანდელი სვავის წინააღმდეგ ბრძოლა ჭაბუკ გიორგის არგუნა ბედმა.

ბედი კი არ სწყალობდა მეფე გიორგის.

ცხოვრების ჩარხი ტრიალებდა უკუღმა.

თემურ-ლანგთან ბრძოლას შეეწირა დიდძალი ლაშქარი. მტერმა მოაოხრა ქვეყანა, ბაღ-ვენახები აკაფეს, არხები მოშალეს, ციხე-კოშკები გადაწვეს, იავარყვეს ეკლესიები, უამრავი სიმდიდრე გაზიდეს ქვეყნიდან, საუკეთესო ოსტატ-ხელოსნები წაასხეს ტყვედ, სამარყანდის მშენებლობაზე ამოხადეს სული. მხვნელ-მთესველი შემოაკლდა ქვეყანას, არხებს ვინ ჩივის, ციხე-კოშკების მშენებელი აღარ შერჩა მეფეს. მტერი კი კარს იყო მომდგარი.

შიშმა და შიმშილმა დაიბუდა.

მაინც არ იტეხდა გულს მეფე გიორგი. მტერთან ბრძოლის გზასა და ხერხს ეძებდა შეუპოვარი, ძველი მებრძოლი.

თემურ-ლანგი უკვე ყარაბაღს იყო დაბანაკებული ურიცხვი ლაშქრით. საქართველოს საზღვრისაკენ მოიწევდა. თან მუქარას უთვლიდა მეფე გიორგის: ,,მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა... და უკეთუ არა მორჩილ მექნები, ვუბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოხრებ სრულიად ქვეყანასა შენსა".

მეფე გიორგი ამ მუქარას არ შეუშინებია, შეუთვალა კიდეც მოციქულის პირით: ,,მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალუც მოოხრება ქვეყნისა ჩემისა, და ვინათგან უთქვამს, უკეთუ არ აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი".

მაგრამ კარგად იცოდა მეფემ: გულგოროზი იყო კოჭლი თემური, შურისმაძიებელი და დაუნდობლად სისხლისმსმელი. არ აპატიებდა გიორგის თორმეტათასიანი რჩეული ლაშქრის ამოწყვეტას, ახლა კიდევ ,,დიაცი და არაკაცი" უწოდა. სულ გააცოფა.



გაზაფხულის პირველი თვე იდგა, მირკან-მარტი. შავი ღრუბელი დასწოლოდა ქალაქს, ძვლის გამყინავი ქარი ქროდა.

ისევ ბოლთსა სცემდა აივანზე ღრმად ჩაფიქრებული მეფე გიორგი, ლანგის წინააღმდეგ საბრძოლო გეგმას აწყობდა.

დიდი განსაცდელის წინაშე იდგა ქვეყანა. მძიმე ომი მოელოდა მეფეს. უთვალავი ლაშქარი ახლდა თან თემურლანგს, მძიმედ შეჭურვილი მხედრობა, საომარი აქლემ-სპილონი და ლოდსატყორცნი ფილეკავანებიც არ აკლდა.

ბანაკიდან ,,აღიყარა და წარმოვიდა ლაშქრითა ურიცხვითა‘‘.

ამირსპასალარმა მოახსენა მეფეს მტრის შემოსევა. ლაშქრის მზადყოფნა უბრძანა ამირსპასალარს, თვითონაც მზადებას შეუდგა, თადარიგი დაიჭირა, მთებში გახიზვნა უბრძანა ხალხს, სურსათ-სანოვაგის გატანა და განძეულის გადამალვა.

,,მეფესა გიორგის მაშინ თანა ახლდნენ იმერნი და ამერნი და მესხნი და ყოველივე საქართველო, — აღიყარა იგიცა და წამოვიდა; და ეწყუნეს ურთიერთს, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და იყო ქარი ძლიერი და აჩრიდა მტუერსა პირსა ლაშქარსა ლანგ-თემურისასა, და განმხნევდეს ძლიერად ქართველნი და მიეტევნეს ვითარცა ცეცხლი თივასა, და მოსრეს და ამოსწყვიტეს სპანი მრავალნი ლანგ-თემურისანი ესრეთ, რომე ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხუევია სპათა ლანგ-თემურისათა. და შეაძრწუნეს დიდად ლანგ-თემურ. და ლაშქარი მისნი, არამედ სიმრავლისაგან ლაშქართასა ვეღარა დაიძრნეს, და იდგნენ მუნვე. შეწუხდა ლანგ-თემურ და გამოიმეტა თავი, აღუძახა ლაშქართა თვისთა. მაშინ გამხნევდნენ სპანი ლანგ-თემურისანი, და განიწირნეს თავნი, და აღარა ძალავდათ ქართველთა, დიდის ომისა და სიმაშვრალისაგან განდრკეს ქართველნი და ივლტოდეს და წარვიდეს მთათა და სიმაგრეთა.

ხოლო ლანგ-თემურ მიადგა ციხესა ტფილისისასა და განამაგრეს ციხე, რამეთუ იდგნენ რაოდენიმე ქართველნი შინაგან ციხესა და მოადგნენ გარე, აღიღო ციხე და გარემო სიმაგრენი ყოველნივე ქართლისანი, და შეაყენა შიგან სპანი თვისანი და თავისად იპყრა‘‘.

მაინც ვერ ეწია საწადელს კოჭლი მტარვალი. ვერც ქართველობა ამოწყვიტა დედაბუდიანად, ვერც მეფე გიორგი

იგდო ხელთ. სასტიკად მოაოხრა, მაგრამ ვერ დაიმონა საქართველო.

კიდევ უფრო გაცოფდა და გადაირია. შიშითა ძრწოდნენ სარდლები და ნაზირვეზირნი, ახლოს ვერ ეკარებოდნენ განრისხებულ მბრძანებელს. ბოლოს გაბედა უხუცესმა ვეზირმა: ,,ძუძუმწოვარი ბავშვები ავაგლიჯეთო მკერდიდან თბილისელ დედებს, დედაკაცნი ლაშქარს მივუგდეთ ხორცთსაამებლად, ძუძუსმდომნი დავყარეთო ქურახანებთან ქალაქგარეთ, უფრო მოზრდილნიც ურევიანო, ათთორმეტ წლისანი, უწვერულნი. ღნავიან უსაშველოდ შიშისა და სიცივისაგან. გვიბრძანეო, როგორ მოვიქცეთ!"

ბოროტმა ღიმილმა გადაუარა ლანგთემურს სახეზე.

ბრძანა: გარეთუბნის კალოებზე დაყარეთო შიშველ-ტიტველნი, უკლებლივ ყველა, საომრად გაამზადეთ მძიმედ შეჭურვილი მხედრობა. ქართველთა ნაშიერებით მოფენილ კალოს გავლეწავო გაზაფხულის პირველ თვეს, მირკან-მარტში, აღარ დაიზრდებიანო მგლის ლეკვები, მტერი მოაკლდებაო მაჰმადის ლაშქარს.

მათრახის ცემით წაასხეს ყრმანი კალოებისაკენ, ხელში ატატებული მიჰყავდათ მხედრებს ძუძუმწოვარა ბავშვები, შიშველ-ტიტვლებს ყრიდნენ მოუპიტლავ კალოებზე. ყრმათაგან რამდენიმემ სცადა გაქცევა, იქვე აჩეხეს დაუნდობლად, ფხა მოუსინჯეს სისხლითუძღებ ხმლებს გაშიშვლებულ ბავშვთა სხეულზე. ხელ-ფეხი შეუკრეს დარჩენილთ, პირქვე დაყარეს.

ყორნისფერ ულაყზე ამხედრებული მობრძანდა ლანგ-თემური ამ უჩვეულო კალოს ლეწვის საყურებლად.

...ხელით ანიშნა ჯირითის დაწყება. ველური ყიჟინით შეიჭრნენ მძიმედ შეჭურვილი მხედრები ბავშვებით მოფენილ კალოებზე. წივილ-კივილი და გმინვაგოდება აირია ერთმანეთში. სისხლით და ტვინით შეიღება ცხენ-კაცი, ხორცის მცირე ნაფლეთები წამოჰყარა ქარმა. ტახტრევანში მჯდომი კოჭლი თემური კი ბოროტად ხარხარებდა.

ასეთი ლეგენდაა შემორჩენილი თბილისის ერთ-ერთი უბნის შესახებ. ისტორია კი მოგვითხრობს:

თბილისში მართლაც არსებობდა კალოუბანი, რომელიც გარეთუბანში შედიოდა. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წ. შედგენილი გეგმის მიხედვით, გარეთუბანი მოიცავდა ფეოდალური ხანის თბილისის ზღუდე-გალავანს გარეთ მდებარე ტერიტორიას, დაახლოებით დღევანდელი ლენინის მოედნიდან პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებსა და კომუნართა ბაღამდე, რუსთაველის გამზირსა და მდ. მტკვრის ნაპირს შორის, გარეთუბანს ეკუთვნოდა სოლოლაკი და მთაწმინდის უბანი, სადაც მხოლოდ ბაღ-ვენახები იყო გაშენებული.

ვახტანგ ბაგრატიონის (და სხვა დოკუმენტური მასალის) მიხედვით, გვიანფეოდალურ ხანაში გარეთუბანი (გარდა სოლოლაკისა და მთაწმინდის უბნის) საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, თუმცა ამ უბნის დიდ ნაწილს ზღუდე-გალავანი და თავდაცვითი ნაგებობა არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ,,გარეთუბანს მეიდნის პირზედ... სახასო სასახლის ადგილს", რომელიც მეფე თეიმურაზ მეორემ 1751 წ. სარდალ რევაზ ორბელიანს უწყალობა. ჩანს, გარეთუბნის მხოლოდ ეს ნაწილი (ე. წ. ორბელიანთა უბანი) იყო გალავნით დაცული (ამ გალავნის ნაშთები დღესაც არის შემორჩენილი სანაპიროზე).

ალბათ, ამით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ერთგან გარეთუბანსაც ,,ქალაქად" იხსენიებს (,,აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას — ტფილისსა, ტფილისს-სეიდაბათს და ისნის-ავლაბარს, და გარეთუბანი არს ტფილისისა". (ვახუშტი, ,,აღწერა", თბილ., 1941, გვ. 54), უფრო მეტად კი, მისთვის ,,ტფილისი არს სამი ქალაქი— ტფილისი, კალა და ისნი" (იქვე, გვ. 52), ე. ი. ვახუშტი ბაგრატიონისათვის თბილისის იმ სამი ძირითადი ნაწილისაგან (,,ქალაქისაგან") შედგებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონს გარეთუბნის დასახლებულ ნაწილში გამოყოფითა აქვს აღნიშნული: ვანქის ეკლესია, მეიდნის სასახლე, ასპარეზი, ყაიბულას ბაღი, სასაფლაო სომეხთა, საბაზიერო მეფისა, სასაფლაო თათრისა, ციხიწვილის სახლი, ქაშვეთისა და კალოუბნის ეკლესიები, არაგვის ერისთავის სახლი და სომხის საყდარი. დოკუმენტური მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებში სავაჭრო დუქნების გრძელი რიგიც (ე. წ. რასტაბაზარი) ყოფილა.

კეცხოველის ქუჩაზე (მას ჯერ ატამანის, შემდეგ ლორის-მელიქოვის სახელი ერქვა), დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის მიდამოებში ძვ. წ. III-II სს. ბოსფორული მონეტები, აგრეთვე აგურისა და კრამიტის სამარხები აღმოჩნდა, ხოლო კომუნართა ბაღში —ადრე ფეოდალური ხანის სამაროვანი. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. წ. III-II საუკუნიდან ადრეფეოდალური ხანის (ახ. წ. IV-X სს.) ჩათვლით ამ მიდამოებში ძველ თბილისელთა სასაფლაო იყო. ვახუშტი ბაგრატიონს დღევანდელ კომუნართა ბაღში ,,თათრის სასაფლაო" აქვს აღნიშნული, რაც იმას მოწმობს, რომ სასაფლაო ამ ადგილას გვიანფეოდალურ ხანამდე არსებობდა.

გარეთუბანშივე ჰქონიათ ძველ თბილისელებს კალოები გაწყობილი, რის გამო მიკროუბანსაც კალოუბანი ეწოდა. აქვე იდგა კალოუბნის ეკლესიაც.

კალოუბანს გარეთუბნის დასახლებული ნაწილის თითქმის მესამედი ეჭირა და მოიცავდა ტერიტორიას დაახლოებით ლენინის მოედნიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობამდე, რუსთაველის გამზირსა და კეცხოველის ქუჩას შორის.

ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წ. თბილისის გეგმის მიხედვით კალოუბანი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული. ნაგებობებს შორის ვახუშტი გამოყოფს არაგვის ერისთავის სასახლეს, კალოუბნის ეკლესიასა და სომხის საყდარს, რომელსაც ქამაანთ საყდარსაც უწოდებდნენ. არაგვის ერისთავის სასახლე დაახლოებით იქ უნდა მდგარიყო, სადაც დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის სამხრეთი ფრთაა, ხოლო კალოუბნის ეკლესია — მუზეუმის შენობასა და რუსთაველის სახელობის კინოთეატრს შორის. არაგვის ერისთავის სასახლე, ისევე როგორც გარეთუბნის სხვა ნაგებობანი, 1723 წ. ოსმალეთის შემოსევისას დაინგრა, კალოუბნის ეკლესია კი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და კინოთეატრ რუსთაველის მშენებლობის დროს აიღეს. 1927 წ. დაინგრა ქამაანთ საყდარიც: დღეს ნასაყდრალის მიდამოებში ცეკავშირის შენობა და საცხოვრებელი ბინა დგას.

საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ XVIII ს. კალოუბანში ჭურჭლის ქარხნები და დუქნებიც იყო. ჭურჭლის ერთ-ერთი ქარხნის პატრონი ნაცვალი იოანე პენტელაშვილი ყოფილა. ეს ქარხანა 1811 წლამდე მუშაობდა (მ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 51-52), რაც ერთგვარ გაკვირვებას იწვევს, რადგანაც 1802 წ. იმ ადგილას, სადაც დღეს პიონერთა სასახლეა, მთავარმართებლის სახლი იდგა (ეს სახლი 1865-1868 წ.წ. გადააკეთეს არქიტექტორ ოტო სიმონსონის პროექტით) და ქარხნის ბოლი, ცხადია, მთავარმართებელსაც ,,შეაწუხებდა". ჩანს, ამითაც იყო გამოწვეული, რომ კალოუბანში არსებული ჭურჭლის ქარხნები მოგვიანებით უფრო მოშორებით, ვერის უბანში გადაიტანეს (დღევანდელი ლეონიძისა და ბელინსკის ქუჩებს შორის).

კალოუბანში იწყებოდა დიღმის გზა, რომელსაც ,,სარუსეთო გზასაც" უწოდებდნენ. ამ გზაზე ჩაისახა გოლოვინის პროსპექტი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნით, 1918 წ. რუსთაველის გამზირი ეწოდა.

ასეთია მოკლედ ძველი თბილისის ერთ-ერთი მიკროუბნის, კალოუბნის ისტორია.





## ჩხერიმელა

მდინარე ჩხერიმელა სოფელ ძირულას შუაზე ჰყოფს. ერთ დროს ჩხერიმელას მხოლოდ ჩხერი რქმევია.

იმ ზამთარს დიდი თოვლიანობა ყოფილა, მხეც-ნადირი ბარში ჩამოსულა. ხოდა, ერთ კაცს დაუნახავს, ჩხერში მელა გადიოდა. აღელვებისაგან ენა დაბმია და წამოუძახია: „ჩხერი!...“ „მელა!“ მის შემდეგ მდინარეს ჩხერიმელა დარქმევია.

მთქმელი თინა დავითის ასული აჩრახაძე (55 წ.), ჩამწერი ეთერ მუხურაძე. ზესტაფონის რაიონის ძირულის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.



## მგელი და კოდალა

ერთხელ მგელმა კოდალას უსაყვედურა: მთელი შენი ცხოვრება ხეს უკაკუნებ და შენი აშენებული სახლი კი ვერ ვნახეო.

— მთელი შენი დღე და მოსწრება სულ ცხვრებს დასდევ, მაგრამ შენი მოშენებული ფარა ვერც მე ვნახეო, — უპასუხა კოდალამ.

მთქმელი დიმიტრი მამალაძე (75 წ.), ჩამწერი მზია მამალაძე, ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## საქართველოს

შენს მკერდზე ბევრი გაზრდილა
ვაჟკაცი ლომის ფერია,
უხარებია მოყვარე,
უმარცხებია მტერია,
ტკბილია შენი მთა-ბარი,
დასათმობელად ძნელია.
ვინც დაგთმობს, ზურგსა შეგაქცევს,
იგი თავისა მტერია.

მთქმელი თედო შიოს ძე წიკლაური (56 წ.), ჩამწერი ბუთულა წიკლაური. დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის V კლასის მოსწავლე.



## თურმე

თურმე ჩემი წინაპარი
ორი ჯოხით დადიოდა,
ჩასავალი ქვევრი ჰქონდა,
ჩაის ჭიქა ჩადიოდა,
როცა იმას აავსებდა,
ლხინით ცამდე ადიოდა.

მთქმელი ნესტორ სიმონის ძე ბრეგვაძე (82 წ.), ჩამწერთ ქეთინო ტოროშელიძე, ამბროლაურის რაიონის სხვავის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.



## ლაგუნდა მდინარეზე

თამარ მეფე თურმე ლაშქრობიდან ბრუნდებოდა. ერთ პატარა მდინარეზე გადმოსვლისას ქოში ფეხიდან წასძრომია და წყალში ჩავარდნია. ველარ უნახავთ. თამარ მეფე გაბრაზებულა და მდინარე დაუწყევლია: არც თავი გქონდეს და არც ბოლოო. ამბობენ, ის მდინარე ახლაც არის და ერთ ადგილზე რომ ამოდის, მეორეგან მიწაშია ჩაკარგულიო.

მთქმელი თამარ ხოხოგაშვილი (60 წ.), ჩამწერი დარიკო გასიურიშვილი, ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



## სიმღერა გუდამაყარზე

ტიალო გუდამაყარო,
მდებარეობავ ტყიანო,
დაბლა ღელევ და ჭალებო,
შუაზე არაგვიანო.

გაღმა-გამოღმა ფერდობო,
შიგ და შიგ ველებიანო,
გლეხების სახნაურებო,
მიწებო ბარაქიანო,
მთებო, სათიბად ლამაზო,
ქუშო ბალახო ცვრიანო,
სათიბის თავში ამყვანო,
მთიბელო პერანგიანო,
მალი-მალ დაიღიღინებ,
ცელო გამიჭერ ფხიანო,
კლდეებო, ცამდე აწვდილო,
ზევიდან ჯიხვო რქიანო.

ცხვრის ფარა ფარებს მიჰყვება,
მდინარესავით დიანო,
მწყემსო, გულმაგრად იყავი,
მუდამ სველკალთებიანო,
თუ მოშაირეს იკითხავთ,
კაცილას მეძახიანო,
მეც მწყემსის ტაფაში ვიწვი,
იალაღებზე ვხმიანობ.

მთქმელი კაცა შიოს ძე ბექაური (50 წ.), ჩამწერი ლიანა ბექაური, დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის IV კლასის მოსწავლე.



## გმირის საფლავი

სამშობლოსათვის თავდადებულო,
ხელში გეჭირა მუდამ მახვილი,
მტრის ამალაში შევარდებოდი,
შორით ისმოდა შენი ძახილი.
სანამ მყინვარმთა არ ჩამოდნება
მაღალი შუბლით, ჭაღარა წვერით,
შენი სახელი მარად იცოცხლებს,
არ დაგივიწყებს მშობელი ერი.

მთქმელი თედო შიოს ძე წიკლაური (56 წ.), ჩამწერი ბუთულა წიკლაური, დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის V კლასის მოსწავლე.

## ღარიბი გლეხი ვიყავი



ღარიბი გლეხი ვიყავი,
ავი ბატონი მყავდაო,
აბა, რა გამახარებდა,
მხეცსა და ნადირს ჰგავდაო.
დილას ყანაში მგზავნიდა,
სათოხნს მაძლევდა ბევრსაო,
რომ ვბრუნდებოდი ღამითა,
მაწყევლინებდა ბედსაო.
ოქტომბრის ხანამ მიშველა,
ცხოვრება შემიცვალაო,
მაგრამ ვაი, რომ დავბერდი,
აღარ მომყვება ძალაო.



მთქმელი ანუშკა გიორგის ასული ლაბაძე (85 წ.), ჩამწერი ლეილა ასანიძე, ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## ალვანი

ალვანო — ვაკე მინდორო,
ნაპირო ალაზნისაო,
ქუჩებო, ფართოდ გაშლილო,
ბაღებო ხეხილისაო.
აქა ცხოვრობენ თუშები,
ნამტკვრევნი ფოლადისაო.
ცხვრების ფარები ტრიალებს,
ხვავი დგას დოვლათისაო.

მთქმელი სტეპო გიორგის ძე ცუხურკაიძე (72 წ.), ჩამწერი ვეფხია უანდაშვილი, სიღნაღის რაიონის ქვემო-მაღაროს საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

# ანდაზები

1. აბდალავ, თოვლი მოდისო და — აკი ვდგავარ და ვძიგძიგებო.
2. ყორანს ბანდნენ და უფრო შავდებოდაო.
3. ავი შემნახავი და ქურდიო, ორივე არის მრუდიო.
4. მზეს რომ ტალახს ესვრი, თავზე ჩამოგეთხეპნებაო.
5. მთისა მეცხვარეს ჰკითხე, ბარისა — გუთნისდედასაო.
6. მეტიჩარა მაყარი ნეფე-დედოფალს წინ უსწრებდაო.
7. მამლები წაიჩხუბნენ, მელამ პირი აივსოო.
8. ყურმა თქვა: უცნაური ამბები რომ მესმის, იმიტომ არ ვიზრდებიო.
9. სილამაზე თუ წესიერად არ მოიხმარე, სიმახინჯე ჯობიაო.
10. აგურს რეცხდნენ და უარესი წვენი გასდიოდაო.
11. სამშობლოს ერთგული უდიდგვაროდაც დიდიაო.

მთქმელი ლუბა იაგორის ასული ასანიძე (74 წლისა). ჩამწერი მზია შამანაძე, საჩხერის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

1. ღორი გასუქდა და ინატრა: ნეტავ მგელს შემახვედრაო.
2. თუ კაცობა გინდა, ნამუსზე უნდა დაიხედო და არა ჩოხაზეო.
3. ქარი იყო, კაცს ქუდი მოხადა და, ნიავი დგებაო.
4. კამკამა წყალში მარგალიტი გამოჩნდებაო.
5. თუ მართალი ხარ, გული რკინისა გაქვსო.
6. ძაღლის კუდი მანქანაში რომ ჩადო, მაინც არ გასწორდებაო.

მთქმელი წყალობა ათაბეგაშვილი, ჩამწერი მირზა ბაღდასაროვი, ქ. რუსთავის 61-ე პროფტექნიკური სასწავლებლის IX კლასის მოსწავლე.

## სიძის დედა



ისე მომიქციეს მხარი,
ჩხარში მათხოვინეს ქალი.
ცოლოურში რომ მიველი,
მიხარშეს კანაფა ფხალი.
ავდექი და წამოვედი:
— მე არ მინდა თქვენი ქალი!
უკან სიდედრი მომძახის:
— შვილო, რად ხარ ეგრე ფრთხალი!
შენთვის აგერ ქათამს ვბრაწავ,
ჩემთვის მოვიხარშე ფხალი.



მთქმელი კალისტინა როსაფის ასული კუპატაძე. ჩამწერი ცისანა კუპატაძე, ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

# გამოიცანით!

თუ გამოიცნობ დერგში რამდენი წველა ყველი მაქვს, ექვსივეს შენ მოგცემო, უთხრა ერთმა ქალმა მეორეს. მაგას რა გამოცნობა უნდა, ექვსი გაქვსო, უპასუხა მან.
— უჰ, შენ კი რა გითხარი, როგორ გამოიცანი?! — გაუკვირდა ყველის პატრონს.

მთქმელი როსტომ სანდროს ძე ითიურიძე (61 წლის) ჩამწერი კატო წოწოიძე; ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საშუალო სკოლა. VII კლასი.

# სკოლისაკენ

ტექსტი გიორგი ქუჩიშვილისა
მუსიკა ჯემალ ადამაშვილისა



მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი,
ადე, ბიჭო, ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჰერი, ჰერი.

სამუშაოდ ეშურება
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი,
აბა, მარდად ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჰერი-ჰერი.



# პირველი სექტემბრის ზარი

ანზორ აბულაშვილი

როგორც შარშან თუ შარშანწინ,
როგორც ყოველთვის — ახლაც —
სექტემბრის დილას სხვა ნათლით
შემკული ბრწყინვა ახლავს.
მზის მარმაშებით მოსილი
მშობელ მთებს, ველებს, კორდებს,—
სულ ფრენით, განა ზოზინით,
სხვა ჟრიამულით მოსდევს.
და მოდის, მოჰქრის, მოფრინავს
და წკრიალა ხმით მღერის.
ყოველთვის სულ სხვა ყოფილა
ამ დღის ციცხალი ფერი...
მზე თითქოს უცებ უბიდან
ამოაფრინეს მთებმა
და წამში ზეცა დაფარეს
მზის ოქროსფერმა ფრთებმა.
დილა მოფრინავს სექტემბრის
და მოწკრიალებს სხვა ხმით,
ვით სიყმაწვილეს შეჰფერის —
გაცისკროვნებულ სახით...
ყური მიუგდეთ, წკრიალებს
ათი ათასი ზარი!
სექტემბრის ზეცა კრიალებს
და ჩანს მომავლის კარი.
გესმით? ზღვა ნათლის მთოვარის
და მზით ნაფერი ჩანგის
მუსიკა — სწორუპოვარი,
სწორუპოვარი ჰანგი.
ვინც უხმობს ნათელ მომავლის
გზისკენ — სხვა დღეთა მჭედელს.
ბრძენი პატრონი სჭირდება
მამულს — უჭკნობელ ედემს.
ვაშა, დიდ გზაზე მიმავალ
ამ ზარით დაძრულ ლაშქარს,
იმის ნიჭს, უნარს, ძალას, ხმას
და რკინის მხრების გაშლას!
ვაშა ფრთებს! ვინც ხვალ შეიძლებს
ვარსკვლავებისკენ ფრენას,
ვინც ხვალის ნანატრ ზეიმზე
მიჰყავს ყოვლისმძლე — რწმენას.
დღეს კი ეს თბილი ქარები
სულის სალბუნად ქრიან
და ვუსმენთ რეკვას ზარების,
მათ მარად მზისფერ წკრიალს.

# კროსი და ველოსიპედის ტარება



ეს ორი ვარჯიში აუცილებელია 10-13 წლის გოგო-ბიჭებისათვის. კროსის მანძილი 300-დან 1500-მდე მეტრია. დისტანცია შეიძლება გადაიზომოს სტადიონზე, პარკში, ტყეში... კროსში დრო არ ისაზღვრება, ამოცანაა მანძილის დაუსვენებლივ გარბენა, ამიტომ საჭიროა ძალის თანაბრად განაწილება.



## ყურადღებით, სტარტზე!

ჩვეულებრივ, ვინც სწრაფად დაიწყებს რბენას, მალე იღლება. სირბილი დაუძაბავად, თავისუფლად არის საჭირო, მხრების აწევა ან მუშტების შეკუმშვა რბენისას არ შეიძლება. სუნთქვა თანაბარზომიერი უნდა იყოს.



კროსის ნორმატივის ჩასაბარებლად ვარჯიში ჯერ მოკლე მანძილზე დაიწყე და შემდეგ თანდათან გაზარდე.

იმან, ვინც ველოსიპედით აპირებს ნორმატივის ჩაბარებას, უპირველესად მანქანას უნდა მიხედოს, რათა შეჯიბრების დროს გზაზე რაიმე ნაწილი არ დაუზიანდეს. უნდა შემოწმდეს მუხრუჭები, დაეჭიმოს ქანჩები, კარგად დაიზეთოს საკისრები. ველოსიპედი ისე უნდა მომართო, რომ ზედ თავისუფლად, დაუძაბავად იჯდე, ეს უმთავრესად საჭისა და უნაგირის რეგულირებით ხდება. ველოსიპედზე ისე უნდა იჯდე, რომ წინ იყო გადაზნექილი და ოდნავ მოხრილ ხელებს ეყრდნობოდე, უნაგირი იმ დონეზე უნდა იყოს, რომ ფეხის წვერით, ქვემოთ დაშვებულ სატერფულს ეხებოდე. სატერფულს იმ წამსვე უნდა დააწვე, როგორც კი იგი უკიდურეს ზედა მდგომარეობას დაიჭერს. ამ დროს მეორე ფეხი უნდა მოადუნო და დაასვენო.

წინდაწინ საგანგებოდ შეისწავლე სწრაფი ქანის მიცემა და დაოსტატდი ველოსიპედის დამუხრუჭებაში.

სცადე ველოსიპედის ზიგზაგებით ტარება, ატარე ველოსიპედი გრძელ, ვიწრო ფიცარზე. თუ ფიცარი არა გაქვს, დახაზე ვიწრო 10-15 მეტრი სიგრძის ბილიკი და იქ ივარჯიშე. თუ ველოსიპედი გზაზე დაზიანდა, როცა ფინიშთან ახლოს ხარ, შეგიძლია ველოსიპედი მხარზე შეიდგა და რბოლა ისე დაამთავრო.



## საზრიანის ხელში



რკინის მესრის ან ლითონის ბადის შეღებვა ორივე მხრიდან ერთდროულად ჯობია. ლითონის ზედაპირიც პირწმინდად შეიღებება და არც საღებავი დაგეხარჯება ბევრი.

როგორ უნდა გახვრიტო კაფელის ფილა ისე, რომ არ დაიმსხვრეს? ეს საქმე ასე კეთდება: ჯერ გასახვრეტ ადგილს ნელი დარტყმით მოჭიქული ზედაპირი უნდა მოაშორო. თუ ფილა კედელზეა მიწებებული, ჯობს ნახვრეტი პობედიტის ბურღით გახვრიტო, ხოლო თუ ფილა ჯერ კიდევ არ არის კედელზე გაკრული, მისი გახვრეტა ქლიბის წვრილი ტარითაც შეიძლება.

ძალზე ცხელ ამინდში მაცივარი ხშირად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ამიტომ მაცივრის უკან მომცრო ვენტილატორი უნდა დადგა.

იმპროვიზებული ლიფლიფას გაკეთება იოლი საქმეა. ამისათვის ბატარეა, ნათურა და საიზოლაციო ზონრის ნაჭერი კმარა. შუქს რომ უფრო მეტი ძალა ექნეს, ნათურას ვერცხლის ქაღალდის რეფლექტორი უნდა გაუკეთო.

ყველამ იცის, რაოდენ ძნელია ბეტონის კედელში ნახვრეტის გაკეთება, რათა სურათი, საათი ან სხვა რამ ჩამოჰკიდო. მაგრამ ამისათვის თურმე კედლის გახვრეტა სულაც არ ყოფილა აუცილებელი.

კედელი კარგად გაფხიკე, ზედ ძლიერი წებო წაუსვი, გააშრე და ისევ გაუსვი, შემდეგ წებო კაკვსაც წაუსვი, (ოღონდ, კაკვს ფართო საყრდენი უნდა ჰქონდეს) და ხელახლა კედელსაც წაუსვი. ბოლოს კაკვი კედელს მიადე და ხელმიჭერილი კარგა ხანს გააჩერე.











## სარჩევი


კუკრავა ო. — აბა, ჩქარა, მალხაზებო (ლექსი) . გარეკ. 2
ხერგიანი მ. — შრომა და ცოდნა კანუყრელია (ფოტორეპორტაჟი) . . . . . . . . . 1
მერაბიშვილი ე. — დაკარგული ანდრომაქე (ფანტასტიკური მოთხრობა, დასასრული) . . . . . . 4
შენი უცხოელი თანატოლები . . . . . . 11
ჩიკურიშვილი ვ. — „ტყე შეუნახე შვილებსა“ (ნარკვევი) 12
მგელაძე ნ. — უწყინარი ნაცვალსახელი „მე“ (ნარკვევი) 12
აისი . . . . . . . . . . . . 18
დარელი ჯერალდ — ჩემი ოჯახი და ცხოველები (მოთხრობა) 20
ტყეშელაშვილი ო. — ლეგენდა და ისტორია (ნარკვევი) . . 25
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . . . 28
აბულაშვილი ა. — პირველი სექტემბრის ზარი (ლექსი) . 30
ყურადღება, სტარტზე! . . . . . . . 31
სკოლისაკენ (მუსიკალური ნოტი). . . . . . . 30
საზრიანის ხელში . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . გარეკანის 3 გვ.


გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი თ. ხუციშვილისა.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-61 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18.VII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IX-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 2562. ტირ. 130.000. უე 02023.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


© „პიონერი“, 1975 წ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**შვეულად:** 1. სახელმწიფო ამერიკაში; 2. სსრკ-ს რესპუბლიკა; 3. საქართველოს კუთხე; 7. ტურგენევის ნაწარმოები; 8. ერთ-ერთი დიდი მდინარე სსრკ-ში; 9. სახელმწიფო ევროპაში; 11. მეფის ხელისუფლების დამხობის მომხრე, ანუ? 12. მწვანე ოქრო, ანუ? 13. გამოჩენილი ფიზიკოსი; 14. ნელი ქარი, ანუ? 16. ყვავილი; 17. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 20. ძველებური სახლი; 21. ხილი; 23. ტრანსპორტი; 26. იაპონელი მოჭიდავე; 28. სამხედრო ნაწილი; 30. სახელმძღვანელო; 31. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი.

**თარაზულად:** 2. სახელმწიფო აზიაში; 4. ფრინველი; 5. ბუნების მოვლენა; 6. მუშაობის ერთეული ფიზიკაში; 9. ამერიკელი მოჭადრაკე; 10. უდიდესი ნიჭი, ანუ? 15. ხილი; 16. ფილმ „ფარი და მახვილის" გმირი; 18. დროშა, ალამი, ანუ? 19. ვულკანური კონუსის ძაბრისებრი ყელი; 22. სახელმწიფო აფრიკაში; 24. მდინარე ჩინეთში; 25. სოფელი თეთრი წყაროს რაიონში; 27. მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი ფეხბურთელი; 29. წოდება ინგლისში; 32. თევზის სახეობა; 33. ქიმიური ელემენტი; 34. საკურორტო ქალაქი შავ ზღვაზე; 35. სახელმწიფო ინდოეთის ოკეანეში.

გოჩა ლობჟანიძე,
ქ. თბილისის 133-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



### გამოცანები

ცოცხალს საჭმელად მქონდა
მწვანე ფოთლების ხვავი,
შემდეგ ავაგე ციხე
და შიგ მოვიკალ თავი.

●

ოთახშია ჩაკეტილი,
თუმცა მუდამ სველი არი
ხან მწარეა, ხან კი ტკბილი,
გარს არტყია თეთრი ჯარი.

ბიქტორ ლეჟავა.

### შარადა

ავსტრიის დედაქალაქი
პირველ ნაწილად გვჭირდება;
ადვილი არის მეორეც,
ვინც კარგად დაუკვირდება:
ნაირფერებით ნაქსოვი,
იატაკზე რომ ჰფენია;
იმ სიტყვის ბოლო მარცვალი
შარადის შესაფერია.
შეკრებ და გამოცნობაში
მე კიდევ ცოტას გიშველი, —
იქა მწიფდება ნაყოფი,
ფერად ქარვა და გიშერი.

შოთა ამირანაშვილი.

### გამოცანები

●

ბრილიანტის კბილებს აჩენს
მარგალიტის ნამცვრევით.
წითლად ღუის დახლეჩილი
ალისფერი მარცვლებით.

●

სულ ტიკტიკებს, არა სძინავს
ერთი წამიც, ერთი წუთიც.
მომართავ და სამუშაოდ
ეპიმება ყველა კუთხი.

●

ორი ძმაა, მაგრამ ძმური
არაფერი ახლავთ.
ერთმანეთის შენაცვლებით
არსებობენ ახლაც.

ძმები ერთურთს წაეკიდნენ,
განა, ძმურად ენდნენ?...
და ეს მტრობა მეორდება
უსასრულოდ დღემდე.

უსამართლო სამართალი
დაიწესეს ძმებმა:
ერთი ფეხზე წამოდგება,
მეორე კი წვება.

●

განა უშნო და ჯაბანი,
ან ყლორტებშემოცრეცილი?
შავი ხალებით მინდორზე
წითლად ბრიალებს
ცეცხლივით.
ყანას შვენის და სიწითლით
უხარებია მიდამო.
კუდრაჭა გოგო იძახის:
—მისფერი კაბა მინდაო.

ამბროსი დოხნაძე.






ნახატი ხუმრობები ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მტრედები

ფოტო ეტიუდები მ. ფილიმონოვისა

წვიმაში



ИНДЕКС 76157